საერთო გაზეთი

№7 (599) • 3 მარტი, 2021წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.50 ლარი

ირაკლი ღარიბაშვილი – კაცი, რომელსაც საქართველო ქვეყნის გროვა არ ჰგონია

რიგგარეშე არჩევნების რომ დაინიშნოს, „ნაცები“ ამ არჩევნებსაც პირწმინდად წააგებენ

ოპოზიცია დღეს „ქართულ ოცნებას“ კი არა ქართულ სახელმწიფოს ებრძვის

მშვიდობა, რომელიც ომზე უარესია

ისე ნუ ვიზამთ, რომ ეს ორი მილიონი ადამიანი ქუჩაში გამოვარდეს და ის თქვას, რისი თქმაც არ სურს — ვინც „ნაცმოძრაობას“ და მის მორჩილ ოპოზიციას მხარს უჭერს, არც ევროკავშირი გვინდა, არც ნატო, არც დასავლეთი – დაგვანებეთ თავი!

აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი კოჰაბიტაციის მეორედ მოსვლისა!

ქმნის თუ არა გიორგი გახარია ახალ პარტიას და მიდის თუ არა კახი კალაძე „ქართული ოცნებიდან“?

სიმართლე გითხრათ, მე მელია უფრო ჭკვიანი ადამიანი მეგონა. როგორ შეიძლება ამხელა კაცი სააკაშვილმა ტორპედოდ გამოიყენოს

ვინ შევწიროთ მსხვერპლად რევოლუციას და ვინ დავაჭერინოთ ქოცებს?



მაქვს ინფორმაცია, რომ ირაკლი ღარიბაშვილის საწინააღმდეგო კამპანიის წარმოებისთვის, გიორგი გახარიას დავალებით, ელისო კილაძეს ძვირადღირებული ბინა შეუძინეს

„განონასწორებული“ ყვარყვარე და გამოუსწორებელი თაღლითი

გრაალის მცველის დამფრთხალი ქოჭინა

იბერთა საიდუმლო

„ზაიჩიკები“

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

ირაკლი ღარიბაშვილი – კაცი, რომელსაც საქართველო ქვების გროვა არ ჰგონია

22 თებერვალი. საქართველოს პარლამენტი. ირაკლი ღარიბაშვილის მეორედ გაპრემიერება და მისი მთავრობის დამტკიცება.ე.წ. ოპოზიციისთვის და უფრორე "ნაცხროვისთვის" შავი დღე. ჩვენი ბედკრული ქვეყნისთვის – ნათელი და იმედიანი დღე.

ვიღაცას არ ესიამოვნა, ვიღაცას ბნედა დაეცა, ვიღაცა ისტერიკაში ჩავარდა და... ეს კარგია, რადგან გათავხედებული "ნაციონალებისა" და მათთან გათანაბრებული პირების პარპაში უნდა დასრულდეს!

ვინ დაამთავრებს? ადამიანი, რომელიც ამათ დაემუქრა, დაგამთავრებთო, გაიპარა: მეო, ჩემს თანაგუნდელებთან შეთანხმებას ვერ მივაღწიეო, მელიას დაჭერა არ გამოდისო, ვერ დავიჭეროო, უნდა გადავდგეო. კი, მაგრამ ხვალ რომ სხვებმაც უარი თქვან გირაოს გადახდაზე და სამაჯურის გაკეთებაზე, როგორ უნდა გავამტყუნოთ? მაიცადეთ, თუ მელიას უნდა ვაპატიოთ, შაქრო ქიბროწაშვილს რატომ არ უნდა ვაპატიოთ? რა, შაქროს ფეტვი ურევია?!

ჰოდა, მოვიდა პრემიერ-მინისტრად კაცი, რომელიც მართლა აღადგენს სამართლიანობას... რომლისთვისაც ეს ქვეყანა არ არის ქვების გროვა.

26 თებერვალს ე.წ. გაერთიანებულმა ოპოზიციამ აქცია რომ გამართა პარლამენტის წინ, ვინმე ხატია დეკანოიძემ კიკინები გაიწეწა, ირაკლი ღარიბაშვილი გაუნათლებელიაო, სიცარიელეაო, არაფერს არ წარმოადგენსო. ეს თქვა დეკანოიძემ, სააკაშვილის ყოფილმა თუ პოტენციურმა რძალმა, რომლის განათლებასა და წიგნიერებაზე არსად არაფერი თქმულა, ერთი თვალებგადმოკარკლული დედაკაცია, რომელიც დღეში ცხრაჯერ ერთი და იგივეს ბოდავს.

ისე, სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვი: იყო დრო, "ნაციონალები" ცოტა უკეთესად მალავდნენ თავიანთ უმეცრებას, თავი მოჰქონდათ, თითქოს განათლებული პროფესიონალები იყვნენ. ახლა კი რას ვხედავთ... რა განათლება, რა პროფესიონალიზმი? ესენი ყოფილან გაუთლელი ბრიყვები!

ირაკლი ღარიბაშვილს აბრალებენ, თითქოს ის ოპოზიციას ებრძვის. ჯერ ერთი, სად არის ოპოზიცია და მეორეც – თავადვე აკეთებს გასაგებ განმარტებას:

"მე ოპოზიციას კი არ ვებრძვი, ვებრძვი იმ ადამიანებს, ვინც უზარმაზარი ზიანი, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ჩვენს სახელმწიფოს. ვინც ტერიტორიები დაგვაკარგვინა, გაყიდა ჩვენი ისტორიული მიწები, ასი ათასობით ჩვენს მოქალაქეს პატივი, ღირსება, ნამუსი აჰადა, გაასამართლა. ამ ხალხს ვებრძვი და ყველაფერს გავაკეთებ, როგორც რიგითი მოქალაქე, პოლიტიკოსი, ასეთი ანტისახელმწიფოებრივი, ჩვენი ქვეყნის მტრები ვერასდროს ველარ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში".

აჰა, ჩვენი მიზანიც ეგ არი, მკვლელები და მოღალატეები ველარასოდეს ველარ უნდა დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. მეტიც, მათ პასუხი უნდა აგონ ქვეყნისა და ერის წინაშე.

თუმცა, მეგობრებო!

როგორც ვხედავთ (აგერ, უკვე

30 წელიწადია), ჩვენს უცხოელ პოლიტიკოს-მეგობრებს ეს არ ესმით, არც აინტერესებთ. გამოდიან, ლაპარაკობენ, წერენ, აღნიშნავენ, რომ იმის გამო, რაც საქართველოში ხდება, აღშფოთებულები არიან, შეშფოთებულები არიან, არ მოსწონთ, დემოკრატიას საფრთხე ემუქრება, პლურალიზმი არ არის სათანადო დონეზე. 30 წელიწადია გვესმის უსაგნო, უშინაარსო, ზერელე განცხადებები და ჩვენც შიშით ვცახცახებთ, ემანდ უხეიროდ არ შეგვაფასონო. მადლობა უფალს, ბოლო დროს შეშფოთებულთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, მარტო ისინი აქტიურობენ, თავის დროზე "ნაციონალები" კაი "მაყუთს" რომ ურიცხავდნენ ე.წ. ლობისტობაში. ვინ არიან კრის სოჩები, პავილიონისები, კუბილიუსები და მათნაირები? მათ არ აინტერესებთ, ვინ არის მელია, ვინ არის რურუა, ვინ არიან სხვები, ისინი არიან ზედაპირული ე.წ. პოლიტიკოსები და ხშირად მრჩება შთაბეჭდილება, რომ ისიც კი არ იციან, დედამიწის რომელ წერტილშია საქართველო.

მე მასწავლიან, რომ დემოკრატია არის კანონის უზენაესობა. კანონის უზენაესობა ნიშნავს იმას, რომ ქაღალდზე დაწერილი და ბეჭედდარტყმული წესი ყველასთვის უნდა იყოს ერთი – მელიასთვისაც, რურუასთვისაც, კუტუნიოსთვისაც, იმანოშვილისთვისაც და ამანოშვილისთვისაც. ჩვენში ე.წ. პოლიტიკა ოდითგან იყო და დღესაც არის ნაძირლების, დამნაშავეების, მოღალატეების თავშესაფარი. აქვე დავამატებ – არა მხოლოდ შინაური მოღალატეებისა და ნაძირლების თავშესაფარი, უცხოელებისაც, ე.წ. დიპლომატ-პოლიტიკოსებისაც, ე.წ. ლობისტებისაც. "ნაციონალურმა მოძრაობამ" უამრავ უბედურებასთან ერთად დანერგა კიდევ ერთი მავნე ტენდენცია, ბიუჯეტის ფულით საზღვარგარეთელი "მოღვაწეების" მოსყიდვა არაღშფოთების სანაცვლოდ. ეს საქმე ებარა გიგა ბოკერიას, რომელსაც ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 20 მილიონი მიჰქონდა და ამ "მოღვაწეების" ანგარიშებზე რიცხავდა. ამიტომ იყო, რომ ჩვენში სასტიკი დარბევებისა და სხვა მძიმე დანაშაულობათა გამო ხმას არავინ იღებდა. 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევისა და "იმედში" შეჭრის შემდეგ ვინმე აღშფოთდა? არა, ასეთ "მოღვაწეს" ვერ გაიხსენებთ. დუმილში ფული იყო გადახდილი, ვინ აღშფოთდებოდა? იგივე მოხდა 2011 წლის 26 მაისის შემდეგ – ამ შემთხვევაშიც იყო სრული დუმილი. როგორ გგონიათ, რაც ციხეებში ხდებოდა, არავინ იცოდა? იცოდნენ, ძალიანაც კარგად იცოდნენ, მაგრამ თუ ვინმე "შემოწმებაზე" ჩამოვიდოდა, ყველა ხელდამშვენებული მიბრძანდებოდა, სულ ფეხებზე ეკიდათ, ვის აწამებდნენ, ვის აუპატიურებდნენ, ვის სულსა ხდიდნენ და ვის კიდევ "პროსტინაში" გადახვეულს აგზავნიდნენ. არადა, რომ ვთქვა, ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე არ ვწერდით-მეთქი, ტყუილი იქნება... ვწერდით, ფაქტები გვქონდა, ვყვიროდით, მაგრამ სანამ ბიძინა ივანიშვილი არ მოვიდა პოლიტიკაში და ფაქტები არ დაიდო ვიდეოს სახით, მანამდე ვერ ჩამოვშალეთ ფურთხით ნაშენები ბანდა.

ჰოდა, იმას ვამბობდი (სიტყვა გამექცა)... ჩვენ და არა მხოლოდ ჩვენ, მთელი დუნია თანხმდება, რომ თუ გვინდა დემოკრატია, მაშინ კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს, ანუ დანაშაული არავის არ უნდა ეპატიოს. რა თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა მიუღებელი და უცნაური, ასერიგად რომ "აღშფოთდნენ" ჩვენი გარე ბიძაშვილები?

„ნიკა მელია კრიმინალია იმიტომ, რომ ბანკ „ქართუს" გაკოტრების საქმეზე სასამართლომ შერაცხა ის კრიმინალად. ყველას შევახსენებ, ნიკა მელია „ნაცმოძრაობის" როგორი თავმჯდომარეა... „ნაცმოძრაობის" თავმჯდომარე არის სააკაშვილი. ნახეთ, მათი გათვლით, როგორი „ჭკვიანური" სვლა გააკეთეს – მელია არის გასამართლებული, მას მიესაჯა „ქართუს" საქმეზე. ჩვენი ჰუმანური პოლიტიკა და ივანიშვილის ჰუმანური დამოკიდებულება ამაშიც გამოჩნდა. მას პირობითი სასჯელი და ჯარიმა მიესაჯა. ეს კრიმინალი რამდენიმე თვის წინ პარტიის თავმჯდომარედ გამოაცხადეს. გვეუბნებიან, რომ იმ მძიმე დანაშაულს, რომელიც მან სავარაუდოდ ჩაიდინა, პარლამენტზე შტურმის ორგანიზებას და ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის მცდელობას ვგულისხმობ, თურმე არ უნდა შევეხო თ. მე ვეკითხები ყველას, რომელ ქვეყანაში გინახავთ, მსგავსი ტიპის მძიმე დანაშაულებისთვის ადამიანებს რაღაც ინდულგენციებს აძლევდნენ? როდის ყოფილა, პოლიტიკური პარტია ასეთი კრიმინალების თავშესაფარი გამხდარიყოს"?

სწორ შეკითხვას სვამს ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი – რომელ ქვეყანაში გინახავთ, მძიმე დანაშაულისთვის ადამიანებს ინდულგენციას აძლევდნენ? თუმცა აქვე აღვნიშნავ: ხომ არ გვაქვს შეცდომა დაშვებული მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილმა ჰუმანურობა გამოიჩინა? მე მესმის, რაკი "ქართუ" მისია, არ გამოიჩინა სიმკაცრე, ანგარიშსწორებაში ჩაუთვლიდნენ. დიახ, ალბათ სწორად მოიქცა, მაგრამ რა ვუყოთ ჩვენი წინაპრების ნათქვამს ღორის ტილის თაობაზედ? ჰო, ღორის ტილს ფეხზე თუ დაისვამ, თავზე აგაცოცდებაო.

კი, მესმის, ჩვენი გარე ბიძაშვილები და დეიდაშვილ-მამიდაშვილები ძლიერ შეშფოთდებიან, მაგრამ ვფიქრობ, ეს ფორმალობაა. სხვათა შორის, ირაკლი ღარიბაშვილმა ერთი ფაქტიც შეგვახსენა:

"რამდენიმე თვის წინ ამერიკაში კაპიტოლიუმის წინ მოხდა ორგანიზებული შტურმი და თავდასხმა, რომლის შედეგადაც 150 ადამიანი დაკავებულია. 4 ადამიანი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული, ჩვენ რაზე ვსაუბრობთ? 1990-იან წლებში ის უბედურება და კატასტროფა, რაც ჩვენს თავს დავმართეთ და ძალადობრივი გზით ხელისუფლების დამხობის პრეცედენტი დავუშვით, ყველაფერი ეს უბედურება, რაც ქვეყანაში ხდება, იმის ანარეკლია. ამის შემდეგ დავანგრიეთ, დავხოცეთ ერთმანეთი, დავკარგეთ ტერიტორიები და ახლა ეს ადამიანები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის" ოფისში იკრიბებიან, თუ გადახედავთ მათ ბიოგრაფიებს, 80 პროცენტს აქვს იმ გადატრიალებაში მონაწილეობა მიღებული... ოპოზიციასთან მოლაპარაკება და დიალოგი აუცილებელია, მაგრამ არა ამ კრიმინალებთან, დესტრუქციულ ცხელ თავებთან, რომელთაც ჩვენი ქვეყნის დანგრევა სურთ".

სრული სიმართლე: ცხელ თავებთან ლაპარაკიც კი არ შეიძლება, მით უფრო მოლაპარაკება. ამას ჩვენ გარე ბიძაშვილებს ვერ გავაგებინებთ. თუ შევეცდებით, რომ გავაგებინოთ, მაშინ ჯერ ფული უნდა გადავურიცხოთ. ამ თემაზე ჯერ კიდევ ბევრია სათქმელი... ალბათ, გახსოვთ, 2013 წელს სახელისუფლებო წრეებში დაიწყეს ლაპარაკი ბოკერიას მიერ გაფლანგული მილიონების თაობაზე, მაგრამ შემდეგ ეს თემა ყველას მიავიწყდა. ფაქტობრივად, ამ საქმეზე სკანდალის ატეხვა არ ღირდა, რადგან საქმე გვქონდა უცხოელ "მოღვაწეებთან" და ბუნებრივია, დაიწყებდნენ "შეშფოთებებს". აი, ახლა კი დადგა დრო, ხმამაღლა ვილაპარაკოთ ამათ ავკაცობებზე.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

„საერთო გაზეთი"
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

მშვიდობა, რომელიც ომზე უარესია

აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი კოჰაბიტაციის მეორედ მოსვლისა!

ვახტანგ ხარჩილავა:

რა ემშველება ამ ქვეყანას?

რა ემშველება ამ ქვეყანას ამდენი მეგობრის და პარტნიორის, ამდენი მაკონტროლებლის და ზედამხედველის, ამდენი ჭკუის დამრიგებლის და თითის დამქნევის, ამდენი ძიძის ხელში?

ისე ზრუნავენ ჩვენზე, ისე დაგვტრიალებენ თავს, ისე მაგრად გვიხუტებენ გულში, ლამის არის, ამდენი სიყვარულით დაგვიხრჩოთ და გავიგუდოთ.

ყველა ჩვენი უფროსია, ყველა ჩვენზე უფრო ჭკვიანია, ყველამ ჩვენზე უფრო კარგად იცის, რა გავაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ, რა ვთქვათ და რა არ ვთქვათ.

ამათ გადამკიდეს, დასაჭერი ვერ დაგვიჭერია, ავაზაკისთვის ავაზაკი ხარო, ვერ გვითქვამს, ქურდისა და ყაჩაღისთვის ზედმეტი სიტყვის თქმა ვერ გაგვიბედავს.

გავუბედავთ რაიმეს და ჩვეულებრივი პროვოკატორები, სახელმწიფოს გადამტრიალებლები, ავაზაკები, ბანდიტები, განგსტერები, ქურდები და ყაჩაღები მყისვე პოლიტპატიმრებად გადაინათლებიან, ჩვენ კი დემოკრატიის მტრების სახელს გვარქმევენ.

ამასწინათ 20-21 ივნისის „გმირი“, პარლამენტში შეჭრის მცდელობის ერთ-ერთი მოთავე და ხელმძღვანელი ნიკანორ მელია დაიჭირეს და ატყდა ერთი ამბავი: საქართველომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისკენ და ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, საქართველომ დემოკრატიას ზურგი შეაქცია, საქართველო დიქტატურისკენ გადაიხარაო.

— რა ბრძანეთ, ბატონოო? — იკითხა ცოტათი შეცბუნებულმა და გაკვირვებულმა საქართველოს ხელისუფლებამ.

— რა ვბრძანეთ და, რაც გაიგონეთ, ის ვბრძანეთ — მელიას დაჭერით თქვენს მიერ დეკლარირებული სურვილი ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანებისა, ეჭვქვეშ დადგაო, — გვიპასუხეს.

კი, მაგრამ, რა კავშირშია სასამართლოს მიერ განაჩენგამოტანილი ნიკანორ მელიას დაჭერა ნატოში თუ ევროკავშირში მიღებასთან?

მელია რომ არ დაგვეჭირა, მიგვიღებდით?

საერთოდ, ნატოსა და ევროკავშირში ჩვენი მიღება-არმიღების საკითხი დიდი ხანია, რაღაც უცნაურ ფორმასა და სახეს იძენს.

რაც დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი მოვიპოვეთ, იმის შემდეგ შევდივართ და შევდივართ ამ ნატოსა და ევროკავშირში, შევდივართ და შევდივართ, მაგრამ ვერა და ვერ შევედით, სამაგიეროდ, რუსები შემოდიან უფრო ღრმად და ღრმად საქართველოში.

ჩვენ იქით „შევდივართ“, ესენი აქეთ შემოდიან და სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ ჩვენი პარტნიორების და მეგობრების შეშფოთება-აღშფოთებანი.

ამ „შესვლა-არშესვლაში“ ტერიტორიის 20% დავკარგეთ და როგორც ჩვენმა ლიეტუელმა მეგობარმა გვიწინასწარმეტყველა, დანარჩენ ტერიტორიებსაც დავკარგავთ და ეს ყველაფერი ნიკა მელიას და ჟორიკა რურუას დაპატიმრებას უკავშირდება თურმე.

— დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ პოლიტპატიმარი ნიკა მელია, პოლიტპატიმარი გიორგი რურუა, მოლაპარაკების მაგიდას მიუსხედით და სადავო საკითხები ოპოზიციასთან მოლაპარაკების რეჟიმში გადაწყვიტეთ. დიალოგს ალტერნატივა არა აქვსო, — გვირჩევენ თუ გვიბრძანებენ ჩვენი უცხოელი მეგობრები და კეთილისმყოფელები.

ნახეთ, აქაც ნიკა და ჟორიკა არიან მთავარი ფიგურები — მაგათ გამო, შეიძლება, არც ნატოში შეგვიშვან, არც ევროკავშირში მიგვიღონ და ვერც ოპოზიციასთან დალაპარაკება მოვახერხოთ.

მართალია, ოპოზიციასთან დიდი ხანია ვლაპარაკობთ, ხან ცალკე, ხან — ელჩებთან ერთად, მაგრამ შედეგი ნულია.

— მაინც ილაპარაკეთ და ილაპარაკეთო, — გვაძალებენ ჩვენი ძვირფასი და საყვარელი მეგობრები, თუმცა, იმის გაშიფვრას და გაანალიზებას არავინ ცდილობს, რატომ არ გამოდის ამ ოპოზიციასთან ლაპარაკით არაფერი.

მოლაპარაკების ერთი რაუნდი, მეორე, მესამე, მეოთხე, მაგრამ, როგორც ვთქვით, შედეგი ნული.

ვნაყეთ წყალი, ვაყარეთ კედელს ცერცვი და ამ უშედეგო ღლაბუცში მელიაც ქე შემოგვეჭირა...

შემოგვეჭირაო, კი ვამბობთ, მაგრამ, როგორ გინდა ამ ჩვენს უცხოელ მეგობრებს აუხსნა, რას ნიშნავს „შემოგვეჭირა“?

შემომეხარჯა, შემომელანძღა, შემომელახაო, ამბობს ქართველი, ანუ დახარჯვა არ უნდოდა და იძულებული გახდა, დაეხაჯა, ვიღაცის გალახვა სულაც არ უნდოდა, მაგრამ იმან არ მოისვენა და გალანძღა, ვიღაცის გალახვა სულაც არ ჰქონდა მიზნად, მაგრამ იმან იმდენი უჩხიკინა, თავი გაალახვინა.

მელიას შემთხვევაშიც ასეა — არავის უნდოდა ამ მელიას დაჭერა, მაგრამ არ მოისვენა მელიამ, აბუჩად აიგდო მთელი სახელმწიფო, აბუჩად აიგდო კანონი, სასამართლო, პროკურატურა, თავის ოფისში გამაგრდა და — ვერ დამიჭერთ, ფეხებსაც ვერ მომჭამთო, — გვითხრა და იძულებული გავხდით, დაგვეჭირა.

— რას ჰქვია, მელია დაიჭირეთ, მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაჭერა როგორ გაბედეთო, — ატყდა ერთი ვაი-უშველებელი და წამოვიდა კრიტიკის ნიაღვარი ყველა მხრიდან.

ერთი შეკითხვა მაქვს ამ კრიტიკის ავტორებთან: მოდით, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: თქვენთან, ამერიკაში ან ევროკავშირის წევრ რომელიმე სახელმწიფოში, რომელიმე მისტერ პოლიტიკოსმა მთავარ საკანონმდებლო ორგანოში შეჭრა რომ სცადოს თავის თანამზრახველებთან ერთად, მერე ამ მისტერს სასამართლომ ელექტროსამაჯურის ტარება რომ დააკისროს, ცოტა ხნის შემდეგ მისტერმა ეს სამაჯური ხალხში რომ მოისროლოს, წავიდეს და ოფისში გამაგრდეს, რას იზამთ, არ დაიჭერთ?

არ დაიჭერთ კი არა, ქვას ქვაზე დაადუღებთ, თავხედ და პროვოკატორ მისტერს გაკოჭავთ, დიდი ხნით უკრავთ თავს ციხეში და სახელმწიფოს აბუჩად აგდებას და სახელმწიფოსთვის თავზე დასაქმებას არ შეარჩენთ.

არ შეარჩენთ და აბსოლუტურად სწორი იქნებით.

თუ თქვენ სწორი ხართ, ჩვენ, ვინც იგივე გავაკეთეთ, ჩვენ რაში ვართ მტყუანი? ჩვენ რა, უფლება არ გვაქვს, ჩვენი სახელმწიფოს ღირსება დავიცვათ, როცა უღირსი ადამიანები მის ღირსებას ფეხქვეშ თელავენ.

ჩვენი ქვეყანაა ეს, ჩვენი სახელმწიფოა, ჩვენი სამშობლოა, რომლის გადარჩენასაც მილიონობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა და ვიღაც მელიას, რომელსაც თავისი ვიწრო პოლიტიკური ინტერესები აქვს და თავისი შეშლილი უფროსის დავალებით პროვოკაციაზე და ავანტურაზე მიდის, პასუხი არ მოვთხოვოთ?

თუ პასუხს არ მოვთხოვთ, მაშინ დემოკრატები ვიქნებით, მაგრამ თუ პასუხს მოვთხოვთ, მაშინ დემოკრატები არ ვიქნებით?

ვის რაში სჭირდება ისეთი დემოკრატია, რომელიც საკუთარი სახელმწიფოს დაცვის უფლებას გიზღუდავს?

დემოკრატია, პირველ ყოვლისა, კანონის უზენაესობაა და არა შერჩევითი სამართალი, როცა მელია, რადგან ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ჰქვია, კანონზე მაღლა დგას, ხოლო დანარჩენი ყარტაყურტა მოქალაქეები იმავე კანონის დარღვევისთვის ციხეში უნდა იხსდნენ.

40 000 ლარის გადაუხდელობაში კი არ არის საქმე, მელიამ სახელმწიფოსთვის, დემოკრატიისთვის ძალზე სახიფათო, ძალზე საშიში მესიჯი გაუგზავნა საზოგადოებას, რომელიც, ფაქტობრივად, იგივე სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოწოდებაა, რაც უკვე მეორედ გააკეთა პატივცემულმა მელიამ.

რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, გულხელდაკრეფილებმა მშვიდად ვუყუროთ, როდის გადაატრიალებს და როდის ამოაყირავებს მელია ქართულ სახელმწიფოს?

აქეთკენ მოგვიწოდებთ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო აშშ-ის კონგრესიდან და ევროპარლამენტიდან?

თქვენ ხშირად იმეორებთ ფრაზას: ანგარიში გაუწიეთ ქართველ ხალხს, იმოქმედეთ ქართველი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით?

მშვენიერი სიტყვებია, დიდებული სიტყვებია, თუმცა ამ ჩვენს ტვინმოღრეცილ ოპოზიციას ქართველ ხალხად მხოლოდ თავიანთი ამომრჩევლები მიაჩნიათ და საქმეს ისე წარმოადგენენ, თითქოს თქვენც მხოლოდ ოპოზიციის მხარდამჭერებს მიიჩნევდეთ ქართველ ხალხად.

არადა, ქართველი ხალხის თითქმის 70% კატეგორიულად არ ეთანხმება ოპოზიციის პათოსს.

70%-ს რომ ვამბობთ, ამ სამოცდაათ პროცენტში იმ მილიონი ადამიანის გარდა, რომლებმაც 31 ოქტომბრის არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა, იმ მილიონ ადამიანსაც ვგულისხმობთ, რომლებიც არჩევნებზე არ მივიდნენ. ეს მილიონი ადამიანი სხვადასხვა მიზეზების გამო განაწყენებულნი არიან „ქართულ ოცნებაზე“, მაგრამ მათთვის კატეგორიულად მიუღებელია ის ოპოზიციური სპექტრი, რომელიც, ძირითადად, ნაციონალებითა და მათი სატელიტებით არის დაკომპლექტებული.

ნუ დავმალავთ: ისინი ნაწყენი არიან დასავლეთზე, რადგან თვლიან, რომ დასავლეთი მათ არ გამოესარჩლა მაშინ, როცა „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმი მთელი ცხრა წლის განმავლობაში სასტიკად ძალადობდა ქართველ ხალხზე და ნამუსს ხდიდა ქვეყანას.

დღეს იგივე ძალა აპირებს ხელისუფლებაში მობრუნებას და დასავლეთის მხრიდან ისევ არ ისმის პრინციპული შეფასებები „ნაცმოძრაობის“ მისამართით, რაც ამ ორი მილიონი ადამიანის თვალში მისი შეურაცხმყოფელი და მჩაგვრელი ძალის ფარულ მხარდაჭერად აღიქმება.

ისე ნუ ვიზამთ, რომ ეს ორი მილიონი ადამიანი ქუჩაში გამოვარდეს და ის თქვას, რისი თქმაც არ სურს — ვინც „ნაცმოძრაობას“ და მის მორჩილ ოპოზიციას მხარს უჭერს, არც ევროკავშირი გვინდა, არც ნატო, არც დასავლეთი — დაგვანებეთ თავი!

მერწმუნეთ, ამის საფრთხე ნამდვილად არსებობს, რადგან ყელში ამოუვიდათ ამ ადამიანებს სააკაშვილები და ბოკერიები, ბურჯანაძეები და ბაქრაძეები, ადეიშვილები და ოქრუაშვილები, მერაბიშვილები და უგულავები, ის ცხვრის ქურქში გახვეული მგლები, რომლებიც დემოკრატიის სახელით სპეკულირებენ, დასავლეთის სახელით სპეკულირებენ და ამ დროს ოკუპანტის დაკვეთას ასრულებენ.

რით ვერ გაიგო ეს დასავლეთმა, როცა გასაგები, გასაშიფრი და ამოსახსნელი არაფერია — ყველაფერი ზედაპირზე დევს, ყველაფერი ნათელია.

4 გვ. →

მშვიდობა, რომელიც ომზე უარესია

3 გვ.

კი არის ეს რუსეთი უკიდეგანო, მაგრამ მთლად ისეთი უკიდეგანო როგორ არის, რომ დასავლეთიც ეგ არის, აღმოსავლეთიც, ჩრდილოეთიც და სამხრეთიც?

— რაც არ უნდა გაეკეთებინა მელიას, მაინც არ უნდა დაგეჭირათ! — შემოგვითვალეს დასავლეთიდან.

რატომ, ბატონებო, რატომ, თქვენ პრემიერებს, პრეზიდენტებს, მინისტრებს იჭერთ და ეს მელია ხელშეუხებლობის რა ისეთი საერთაშორისო იმუნიტეტით არის აღჭურვილი, რომ მისთვის ხელის ხლება არ შეიძლება?

აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი კოჰაბიტაციის მეორედ მოსვლისა!

დაბოლოს, არ შეიძლება დასავლეთმა არ იცოდეს, რომ ის დაუსრულებელი პროვოკაციები, რაც საქართველოში ხდება, უკრაინის მოქალაქის, კიევში დაბანაკებული საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და მისი კაგებეშნიკი ბიძის თემურ ალასანიასგან იმართება.

სულ ტყუილად კარგავთ თქვენ, პატივცემულო ელჩებო, კვირფას დროს და ენერგიას ამ ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან შეხვედრებსა და მოლაპარაკებებში, ისინი არაფერს არ წყვეტენ — გადაწყვეტილებებს იღებს სააკაშვილი, ესენი კი მის დირექტივებს ასრულებენ.

გამოდის, რომ დასავლეთი, რომელიც ოპოზიციის ქმედებებს უჭერს მხარს, სინამდვილეში, მრავალ უმძიმეს დანაშაულში ბრალდებული სააკაშვილის მიერ დაგეგმილ სცენარს უჭერს მხარს, რომლის მიზანია არა რიგგარეშე არჩევნები, არამედ ჯერ ქაოსის და დესტაბილიზაციის გამოწვევა ქვეყანაში და ამ ფონზე ექსტრემალურ სიტუაციაში ახალი არჩევნების ჩატარება.

მოვლენათა ამგვარი განვითარება დედამიწის ზურგზე ერთადერთ სახელმწიფოს, რუსეთს, აძლევს ხელს, რომლის მთავარი სტრატეგიული ამოცანაა, სრული კონტროლი დაამყაროს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამის განხორციელება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება და უმართავი პროცესები დაიწყება.

ხომ არ დაავიწყდათ ვიღაც-ვიღაცებს, რომ რუსეთის ჯარები სწორედ რუსეთთან „მებრძოლი“ სააკაშვილის წყალობით, საქართველოს ტერიტორიის 20%-ზეა განლაგებული და, ფაქტობრივად, ალყაში ჰყავს მოქცეული მთელი ქვეყანა.

ამ ვითარებაში რა ძნელი მისახვედრია, რომ დესტაბილიზაციისკენ და ქაოსისკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება პირდაპირ და უშუალოდ რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს, ხოლო ამ წყლის მიმართულების განმსაზღვრელი და რუსულ წისქვილზე დამსხმელი სააკაშვილი და ის ოპოზიციაა, რომელიც მის ინსტრუქციებს ექვემდებარება და ემორჩილება.

პიარტექნოლოგიების ელემენტარული ცოდნაც კი საკმარისია მიხვდე, რა იმალება სააკაშვილის და მისი ხელქვეითი ოპოზიციის მიერ მართულ ამ აქციებსა და საპროტესტო გამოსვლებში, სადაც ვითომ რუსულ ოკუპაციას აპროტესტებენ, ვითომ დემოკრატიული ღირებულებებისთვის იბრძვიან, სინამდვილეში კი ამ დემაგოგიის და ფარისევლობის მიღმა ოკუპანტი ქვეყნისთვის ხელსაყრელი წინაპირობების შექმნის და ნიადაგის მომზადების მცდელობა იმალება.

საქართველო ვერ შეეგუება ოკუპანტთან ფარული ალიანსით შეკრული პოლიტიკური ძალების ხელისუფლებაში დაბრუნებას.

ეს გამორიცხულია!

მინაწერი: ამ წერილზე მუშაობა კვირა საღამოს დავასრულე, ორშაბათს კი, ათონელზე, პრეზიდენტის სასახლეში ევროსაბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის ინიციატივით, ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან შეხვედრა შედგა, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ესწრებოდა.

შეხვედრის შემდეგ გაკეთებული განცხადებიდან ვიგებთ, რომ შეხვედრამ კონსტრუქციულ რეჟიმში ჩაიარა და ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგის გაგრძელების და გარკვეული შეთანხმების მიღწევის პერსპექტივა გაჩნდა.

თუმცა შარლ მიშელი წაბრძანდა თუ არა, მეორე დღესვე, სამშაბათს, კვლავ განახლდა პარლამენტის პიკეტირება, პარლამენტარები სირცხვილის კორიდორებში გაატარეს, ისმოდა შეურაცხმყოფელი შეძახილები მათი მისამართით.

პოლიცია იძულებული გახდა აქციის რამდენიმე მონაწილე დაეკავებინა.

რას ნიშნავს ყოველივე ეს?

რას ნიშნავს და იმას, რაზეც წერილში ვლაპარაკობდით: ოპოზიციის ერთ ნაწილს არც დიალოგი სურს, არც რაიმე საკითხზე შეთანხმება, არც რიგგარეშე არჩევნები — მათი მიზანია, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, შეინარჩუნონ ფეთქებადსაშიში სიტუაცია, შემდეგ კი ეს სიტუაცია ქაოსსა და დესტაბილიზაციაში გადაზარდონ.

ეს სააკაშვილის სცენარია...

როგორც ჩანს, მას ძალიან არ მოეწონა შარლ მიშელის ვიზიტის შედეგები და ბრძანება გასცა, ოპოზიციამ კიდევ უფრო გაამწვავოს მდგომარეობა.

საინტერესოა, ევროკავშირი, ევროსაბჭო, აშშ-ს კონგრესი ამის შემდეგ მაინც თუ მიხვდება, რასთან და ვისთან გვაქვს საქმე.

თემის გარშემო ვრცელ საუბარს მოწვეულს სტუმრებთან ერთად „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ.

ვ.ხ.

გია გაჩეჩილაძე:

სიმართლე გითხრათ, მე მელია უფრო ჭკვიანი ადამიანი მეგონა. როგორ შეიძლება ამხელა კაცი სააკაშვილმა ტორპედოდ გამოიყენოს

(ფრაგმენტები ინტერვიუდან)

„თქვენ წარმოიდგინეთ, რა პარტიები დგანან დღეს ე. წ. ოპოზიციაში, აბსოლუტურად გაფუჭებული პარტიები არიან, 2-3%-იანები. ამათ უნდათ ხელისუფლებაში რაღაცის გამო მოსვლა და ჰქონიათ, რომ სააკაშვილი არის ის, ვინც ამათ, საბოლოო ჯამში, პოლიტიკაში დააბრუნებს, თორემ არავითარი პოლიტიკური ბრძოლა და ბრძოლა თავისუფლებისთვის არ მიდის.

სიმართლე გითხრათ, მე მელია უფრო ჭკვიანი ადამიანი მეგონა. როგორ შეიძლება ამხელა კაცი სააკაშვილმა ტორპედოდ გამოიყენოს. მით უმეტეს, იმ 8-წლიანი ბრძოლისა, რასაც თვითონ ამბობს, რომ იბრძვის და ნახა ერთხელ, რომ ხალხი არ უჭერს მხარს, მეორედ ნახა, მესამეჯერ და მეოთხეჯერ კიდევ.

ვინ დგანან ახლა იქ. ვითომ ოპოზიციური პარტიები და ეროვნული მოძრაობა დაარქვეს ამას. რის ეროვნული მოძრაობა, რა ეროვნული მოძრაობა. ვინ არის ეროვნული მოძრაობა — ბურჯანაძე, რომელიც დგას და გაიძახის: 23 თებერვალს რომ დაარბიეს „ნაცმოძრაობის“ ოფისიო, ეს რა ჰქნესო, ვითომ თვითონ არ ჩაებარებინოს პარადი 9 მაისს კრემლის წინ. ასეთი უტიფრობა მე არ მინახავს.

ახალგაზრდებს მივმართავ კიდევ ერთხელ: ეს არის ყურით მოთრეული ბრძოლა.

ამბობენ, რომ ეს არის ბრძოლა, თითქოს რუსეთის, ოლგიარქიის და მისთანების წინააღმდეგ.

ერთი შემთხვევა დამისახელეთ გავრილოვის გარდა და მე დაგისახელებთ მილიონ შემთხვევას, რუსების ინტერესებზე რომ დაასხეს წყალი ნაცებმა და ცოტა ხომ უნდა ვიაზროვნოთ, სად და რა ბრძოლაში ვართ, საერთოდ.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: როცა იყო ნამდვილი ბრძოლა, ხალხი გრძნობდა ამას, სიცივე იქნებოდა, ყინვა იქნებოდა — 20-გრადუსიანი თუ რაც იქნებოდა, არც ფეისბუკის დროს და არც მედიების დროს რომ არ იყო, იმდენი ხალხი გამოდიოდა და თქვენ კარგად გახსოვთ, რა მეთოდებით არბევდნენ — „იმედში“ შეჭრით, 7 ნოემბრის დარბევით და ა. შ. და ა. შ.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებ იმ ადამიანებს, რომლებიც გამოდიან და ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს რომ ციტირებენ და ახალგაზრდებს რომ აგიჟებენ — დავჯდეთ, დავილაპარაკოთ და ვისკენ არის სიმართლე, იმ სიმართლეს თვითონ გადაწყვეტს ხალხი.

შეიძლება ვიღაცებმა იფიქრონ, რომ ეს ვიღაცისკენ არის, მაგრამ, თავიდან ბოლომდე ხომ უნდა შევაფასოთ, რა ხდება ამ 30 წლის განმავლობაში. ვინ ასხამს რუსეთის წისქვილზე წყალს და ვინ მოქმედებს მაგათი ინტერესებისთვის.

რასაც ესენი აკეთებენ, ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი და ვერ დავბრუნდებით ჩვენ უკან. ჩვენ უნდა ვიაროთ წინ.

სააკაშვილი ჩაბარდა პატრონს, ჩაბარდა ისტორიას და მისი ხელოვნური პროტესტებიც ჩაბარდა ისტორიას. ზოგი შემთხვევით არის იქ მოხვედრილი თუ ზოგი სპეციალურად, იმათაც მივმართავ: ვერაფერს ვერ მიაღწევთ და ტყუილად აკეთებთ იმას, რომ ადამიანებს კიდევ უფრო აზიზღებთ თავსდა კიდევ უფრო ნერვებს უშლით“.

„360 გრადუსი“
ტვ „პალიტრა“

რიგგარეშე არჩევნების რომ დაინიშნოს, „ნაცები“ ამ არჩევნებსაც პირწმინდად წააგებენ

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, ოპოზიცია პერმანენტულ აქციებს აანონსებს, კვლავ იგეგმება პარლამენტის შენობის პიკეტირებაც, გაშლილია კარვები. რა უნდათ „ნაცებს“?

— ახლობლებთან ერთად მიმდინარე მოვლენებზე ვსაუბრობდი და გაჩნდა კითხვა: ნუთუ, „ნაცმოძრაობამ“ არ იცის, რომ ხალხი მხარს არ უჭერსო. დღესაც, აშკარაა, რომ საზოგადოებას „ნაცები“ არ უნდა. ალბათ, მკითხვათ: რატომ? — დავიწყოთ იმით, რომ ქვეყანაში საპროტესტო მუხტი არ არის, თორემ, ამ ხალხს რა გააჩერებდა. გამოკითხვებითაც დადასტურდა, რომ ხალხს „ნაცმოძრაობა“ არ მოსწონს. რაც მთავარია, ამ პროტესტს რომც აჰყვე რას მიიღებ? — „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის ბრძოლას?!

რით ვერ გააცნობიერეს, რომ ხალხს მათი დანახვა აღარ უნდა. მათი მიზანი ხელისუფლებაში მოსვლა არ არის, თუმცა, არც ამაზე იტყვიან უარს, არამედ რეალური მიზანი რუსული დაკვეთაა. ხომ იცით, ქურდს როცა მოსდევენ, იგი, ხშირად, გამოსავალს იმაში პოულობს, რომ სხვაზე იძახის ქურდიაო. „ნაცები“ ამ ხელისუფლებაზე იძახიან: პრო-რუსულიაო და ამ დროს დესტაბილიზაციას აწყობენ იმ ერთადერთ ქვეყანაში, სადაც რუსეთმა, ჯერჯერობით, თავისი კონტროლი ვერ დააწესა. ვგულისხმობ, სამხრეთ-კავკასიის ქვეყნებს. დესტაბილიზაცია სწორედ რუსეთის ინტერესებშია. კიდევ საჭიროა რაიმე კომენტარი? მათ დესტაბილიზაცია სურთ, სხვა არაფერი.

— უდუმაშვილმა განაცხადა: ხელისუფლებას ამ ხალხისგან ერთი მუშტის დაბრახუნებაც ეყოფაო. მათ ავიწყდებათ, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი გაცილებით მეტია და მუშტის დაბრახუნება მათაც შეუძლიათ.

— ასე, მთელი პროცესი ქუჩაში გადავა და ქვეყანაში ქაოსს მივიღებთ. ქაოსს, რომელშიდაც უკვე ძაღლი პატრონს ვერ გაარჩევს. „ნაცები“ ამ ქაოსზე მიდიან, მაგრამ „ქართული ოცნების“ გულშემატკივარმაც თუ იგივე გააკეთა, ქაოსი კვადრატში გამოვა. ამის გაკეთება ისევ 30 წლის უკან გადაგვაგდებს, რაც „ნაცებს“ სრულებით არ ადარდებთ, მაგრამ ქვეყნის დანარჩენმა ნაწილმა რა ჰქნას, ხომ. ამიტომ, ერთადერთი ვარიანტი, სადაც ეს ნავარაუდევი სცენარი შეიძლება გათამაშდეს შემდეგია: თუკი რაღაც მექანიზმით „ნაცების“ ხელისუფლებაში მოსვლის შანსი რეალური გახდა. აი, მაშინ ყველა ვისთვისაც „ნაცები“ მიუღებელია ქუჩაში გამოვა და სამოქალაქო ომი დაიწყება.

— ბატონო რამაზ, დასავლეთი სანქციებს გვიწესებს, თუ ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნება და მელიას არ გაათავისუფლებენ. დამნაშავის დაჭერის უფლება არ გვაქვს?

— იცით, რა ხდება? —„ნაცები“ ტყუიან. დასავლეთის პირველი რეაქცია ასეთი იყო: როგორ დაიჭირეს ოპოზიციის ლიდერიო.ე.ი. მათ იცოდნენ, რომ მელია ოპოზიციის ლიდერია, სხვა ინფორმაცია არ ჰქონდათ. ეს, უკვე, „ქართული ოცნების“ ხარვეზია, რომ უცხოეთს სათანადო ინფორმაცია არ მიაწოდა. ახლა, როცა ინფორმაციის მიწოდება დაიწყეს, ვატყობ, რომ უცხოელების ტონი შეიცვალა და დიალოგისკენ მოგვიწოდებენ. რაც შეეხება სანქციებს, კიზინგერმა თქვა: რა სანქციებზე ლაპარაკობთ, საქართველო ჩვენი მეგობარია. დასანანია რაც მოხდა, მაგრამ სანქციები რა შუაშიაო. ასე, რომ ოპოზიციის ზეიმი, მორიგი ტყუილია. ისინი ხომ ტყუილის გროსმაისტერები არიან.

— „მთავარ არხზე“ კრამერმა თქვა: საქართველოს დახმარება პირობითი გახდება თუ ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნება და მელიას არ გამოუშვებთო. აქეთ, პავილიონისი და ტუსკი დაგვემუქრა.

— ისინი, ლობისტებს ამაში თანხებს უხდიან. რა თქმა უნდა, ქრთამი მათი მოგონილია. ჩვენ რა გაგვეგება ქრთამის ისე კარგად, როგორც მათ იციან. მეორეც, ოფიციალური პოლიტიკის წარმომადგენლები სანქციებზე არ ლაპარაკობენ. აღნიშნული პერსონები სანქციებზე რა მოტივით საუბრობენ, ეს კიდევ გასარკვევია. თუნდაც დაწესდეს სანქციები, რა მერე? რატომ შეიძლება ეს ერისთვის რაიმე ნიშანი გახდეს? სანქციები რიგ ქვეყნებში გარკვეულ პირებზე წესდება. ვინმე ქმნის ამის გამო ტრაგედიას? ამიტომ, ქართული საზოგადოების რეაქცია სანქციების დაწესებაზე, თავისთავად, გაუგებარია. ქვეყანა აწესებს სანქციებს, როცა მას ეს აწყობს. ეს მეთოდები დაპირისპირებულ ქვეყნებშია მიღებული. რატომ აღშფოთდა კიზინგერი? — დღეს, საქართველო ამერიკის ერთადერთი საყრდენია. კიზინგერი ჩვენი სიყვარულის გამო კი არ აღშფოთდა, არამედ თუკი სანქციებს დაგვიწესებენ ამით ამერიკა ვარდება ცუდ მდგომარეობაში. რატომ? — იმიტომ, რომ ქართული საზოგადოება დასავლეთს ზურგს შეაქცევს. თუ უღირს ეს დასავლეთს, მაშინ სანქციები დააწესოს.ე.წ. სანქციებით დასავლეთი კრავს ხელს საქართველოს რუსეთისკენ. ეს საკითხი ბელორუსიასთან დაკავშირებით, დასავლეთს არ ადარდებს. იგი ისედაც რუსეთზეა მიმაგრებული. მაგრამ საქართველოსთან დაკავშირებით, ეს ნაბიჯი შეიძლება ერთ-ერთი ბერკეტი გახდეს იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა აიძულონ: ქართველ მოსახლეობაში დასავლურმა ორიენტაციამ მიმზიდველობა დაკარგოს. დასავლეთის ქვეყნებს ქართველები ისედაც კრიტიკულად უყურებენ. ბევრ ქართველში მელიას დაჭერის გამო სანქციების დაწესების თემამ გაღიზიანება გამოიწვია — ჩვენ, დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ თუ არა?! ამიტომ მეეჭვება ასეთი სანქციები დაწესდეს.

— ვადამდელი არჩევნების ჩატარება მართლა უნდათ, თუ რა დგას ამის უკან?

— თუ ჩემი ანალიტიკური ტვინი არ მღალატობს, გათვლა ისევ დესტაბილიზაციაზეა იმიტომ, რომ ძალიან იდიოტი უნდა იყო ვერ მიხვდე — განმეორებით არჩევნებში ისევ წააგებ. თავად იციან, რომ ეს არჩევნები არ გაყალბებულა, რაც იქედან ჩანს, რომ ხმების გადათვლაზე არ თანხმდებიან. მათ უნდა ესმოდეთ: თუ არჩევნები არ გაყალბებულა, ე.ი. განმეორებით არჩევნებში კიდევ უფრო ნაკლებ ხმებს მიიღებენ. მათთვის ეს იგივე შედეგის მომტანი იქნება. როგორ მოიქცევიან როცა იგივე შედეგს მიიღებენ? — რა თქმა უნდა, დაიწყებენ ძახილს, რომ არჩევნები ისევ გაყალბდა და ყველაფერი თავიდან დაიწყება. აი, ამაზეა გათვლა, რომ საპროტესტო აქციების პერპენდუმმობილე გაკეთდეს.

— როდემდე გაგრძელდება ასე, ფინალი რა არის?

— ფინალის მოლოდინი ასეთია: გახსოვთ, სააკაშვილმა საკნების ქალაქს რომ ყურადღება არ მიაქცია. მას გონიერება ეყო და ამას ყურადღება არ მიაქცია. რა მოხდა? — ერთ თვეში პროტესტი ჩაქრა, კარვები მომიტინგეებმა თავად აკრიფეს, იქ, ყოფნა, უკვე, არაჰიგიენური იყო. ანალოგიური აქაც, მოხდება. ვთქვათ, 26-ში 3 ათასი ადამიანი იყო გამოსული, ხვალ იქნება ორი ათასი, ზეგ— ათასი და ა.შ. თან, ხალხი რეგიონებიდან ჩამოიყვანეს. თბილისში მილიონ ნახევარი მოსახლეა. აქ რომ მხარდამჭერებს ვერ მოაგროვებ და რეგიონებიდან ჩამოყვანა დაგჭირდება, ის პარტია პარტიაა?

„ნაცების“ ეს ხმები, გაყალბებულია. ამერიკის არჩევნებმა გვიჩვენა, რომ ოპოზიციურმა პარტიამ შეიძლება არჩევნები გააყალბოს. თუ სისტემის სტრუქტურებში ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერების დიდი რიცხვი არის, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. დააკვირდით, „ნაცმოძრაობამ“ არჩევნებში ხმების საკმაოდ დიდი პროცენტი მიიღო, ამ დროს ქუჩაში მხარდამჭერები, აქტივისტების გარდა, თითქმის, არ ჰყავს. სად არის ეს ხალხი ვინც მათ ხმა მისცა?“ ეს ხალხი ან ძალიან იმედგაცრუებულია ან საერთოდ არ არსებობს და „ნაცებმა“ არჩევნები გააყალბეს. ანუ, მათი გაძევების ერთ-ერთი მექანიზმი, რათა არჩევნებში ვერ მიიღონ ის ხმები, რაც ჰქონდათ, არის სისტემის სტრუქტურების „ნაცებისგან“ გაწმენდა. სხვანაირად, ყოველთვის, სასურველ ხმებს მიიღებენ. მეორეც, „ქართულ ოცნებას“ არ აქვს სათანადო რეიტინგი, რაც მათ არხეინად ყოფნის საშუალებას მისცემდა. დღევანდელი გადმოსახედიდან, ხალხი „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგია, თორემ „ქართული ოცნების“ მომხრე ცოტაა. ახალი პარტიაა საჭირო. ვვარაუდობ, რომ ასეთი პარტია შეიქმნება.

— ეს ვარაუდი გახარიას ხომ არ უკავშირდება?

— კი, კი. დიდი ხანია ეს ვარაუდი გამოთქმული მაქვს, ვინ გიგდებს ყურს. მეუღლე გურულია და პოლიტიკაში აქტიურად არის ჩართული. მან მითხრა: ჯერ კიდევ სანამ ივანიშვილი წავიდოდა, შენ, იქამდე ამბობდი: გახარიას პროცესი მზადდებაო. ლოგიკურად, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს სხვა გზა არ აქვს.

— ივანიშვილმა თქვა: „ქართული ოცნება“ ოპოზიციაში უნდა გადავიდეს და ახალი ძალა მოვიდესო. თქვენი აზრით, გახარიას გულისხმობდა?

— ივანიშვილი გახსოვთ, რას ამბობდა: ამ ოპოზიციას არ ვგულისხმობ, არამედ კონსტრუქციულსო. ვინ შეიძლება ეს იყოს? თან, 2024 წლისთვის უნდა გამოჩნდესო. ვინ შეიძლება იყოს ამ პერიოდში ასეთი ოპოზიცია?! მგონია, რომ ივანიშვილმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა, დარტყმა მიაყენა „ნაცმოძრაობას“ — იგი არამარტო სააკაშვილის გარეშე დატოვა, არამედ მას პოლიტიკურ სტატუსსაც წაართმევს. ნელ-ნელა, პოლიტიკური სპექტრის შეცვლის გზით, „ნაცმოძრაობას“ პოლიტიკური სცენიდან გაიყვანს. ამ იდეას ფიქრი ეტყობა და არა ემოციები. ივანიშვილის ეს ჩანაფიქრი, ძალიან სერიოზული, სტრატეგიული აზროვნების კიდევ ერთი დამსახურებაა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ოპოზიცია დღეს „ქართულ ოცნებას" კი არა ქართულ სახელმწიფოს ებრძვის

გვესაუბრება „სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრის" ხელმძღვანელი, ანალიტიკოსი ლადო ბოჭაძე:

— ბატონო ლადო, აშკარაა, რომ „ნაცმოძრაობის" ინტერესებში არ იყო სამართლიანი არჩევნები და არც მისი შედეგები, არამედ არეულობის, დესტაბილიზაციის მოწყობა. დღეს, ეს გუნდი აქციებით, დაუმორჩილებლობით, სახელმწიფო სტრუქტურების პიკეტირებით იმუქრება. რას გვეტყვით?

— დიახ, ცალსახაა, რომ „ნაცმოძრაობა" ემზადებოდა არა 31 ოქტომბრისთვის, არამედ 1 ნოემბრისთვის. სწორედ 1 ნოემბერს მოიხსნა მელიამ დემონსტრაციულად სამაჯური და ხალხში მოისროლა. ეს იყო მცდელობა მცდელობა პოლიტიკური ტემპერატურის აწევის, რათა საზოგადოება დაერწმუნებინათ, თითქოს, ხმები იყო დასაცავი, არჩევნები გაყალბდა. 8 ნოემბერს ჰქონდათ „ცესკოს" აღების მცდელობა არჩევნების გაყალბების მოტივით და ეს იმ ფონზე, როცა არანაირი მტკიცებულება, დოკუმენტი, ფაქტობრივი მასალა ოპოზიციას არ წარმოუდგენია.

ჩვენ, სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ და კანონის უზენაესობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს. თუმცა, სამართლის აღსრულებამ ქვეყანა შეარყია იმ მხრივ, რომ ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც ისე აღიქვეს, თითქოს, ხელისუფლებამ ოპოზიციური პარტიის ლიდერი დააკავა, რამაც მდგომარეობა უფრო მეტად, გარემო პოლარიზებული გახადა. ამაზე, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების შეფასებებიც მოვისმინეთ. თუმცა, სწორედ მელიას დაკავების გამო საერთაშორისო პარტნიორების სწრაფი რეაგირება, ზოგ შემთხვევაში ობიექტური, ზოგ შემთხვევაში კრიტიკული, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქვეყანაში არჩევნები არ გაყალბებულა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამაზეც ისეთივე სწრაფი რეაგირება ექნებოდათ.

დასავლეთის დამოკიდებულება არ შეცვლილა — იგი მოუწოდებს ოპოზიციას პარლამენტში შევიდეს და ბრძოლა იქედან გააგრძელოს. დასავლეთი, ჩვენი პარტნიორები ხედავენ, რომ სწორედ ასეთი დესტრუქციული ქმედებები შეიძლება გახდეს ქვეყანაში დესტაბილიზაციის საფრთხე. თქვენ, ნახეთ, რომ ამას დასავლეთის რეაქცია, სერიოზული შეშფოთება მოჰყვა, მაგრამ მეორე მხარეს არის ბედნიერი რუსეთი იმიტომ, რომ ქვეყანაში ასეთი დაძაბული ვითარებაა. ბედნიერია „ნაცმოძრაობა", რომელმაც მთელ მსოფლიოს აჩვენა: როგორ აღასრულა სამართალი „ქართულმა ოცნებამ" და ოპოზიციის ლიდერი დააპატიმრა, მაგრამ ეს სასამართლო განჩინების საფუძველზე მოხდა, რამაც რა თქმა უნდა, მმართველი პარტიის იმიჯი დააზიანა. როგორც ჩანს, სწორედ ეს იყო „ნაცების" ამოცანა. ერთი მხრივ, ეს შეიძლება გასაგები იყოს იმიტომ, რომ ისინი „ქართულ ოცნებას" ებრძვიან. მაგრამ როცა ისინი მსგავსი ქმედებებით ქართულ სახელმწიფოს ებრძვიან, ეს, რა თქმა უნდა, ყველა მოქალაქისთვის მიუღებელი უნდა იყოს. ეს, ასეც არის, რაც დაადასტურა 26 თებერვლის მიტინგმა, რომელიც ფაქტობრივად, ჩაიშალა, ოპოზიციონერი ლიდერები სიტყვით ვერ გამოვიდნენ, რადგან ხალხი არ იყო. ამის დასტურია მანამდელი პერიპეტიებიც, კერძოდ, „ნაცები" 6 დღის მანძილზე გამომწყვდეულები იყვნენ პარტიის ოფისში მხოლოდ საკუთარი მხარდამჭერების და სხვა ოპოზიციონერების იმედად. ქართველი ხალხი, მოსახლეობა ამ პროცესს არ გამოხმაურებია. დაჭერის კადრებს მთელი საქართველო პირდაპირ ეთერში უყურებდა და რაიმე განსაკუთრებული გამოხმაურება, საზოგადოების მხრიდან, არ ყოფილა. მელიას პოლიტ.დევნილობის განცდა ხალხს არ ჰქონია. კი ბატონო, 26 თებერვალს მსვლელობისას იყო ათასობით ადამიანი, მაგრამ კვლავ მათი აქტივი, მათი მხარდამჭერები და არა რიგითი მოსახლეობა, რომელსაც დღეს გაცილებით მეტი პრობლემები აქვს, ვიდრე იმის გარკვევაა ვინ შევა პარლამენტში და ვინ კარავში. აქვე, მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: ირაკლი ღარიბაშვილმა როგორც პრემიერ მინისტრმა პირველივე რაც გააკეთა ეს იყო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, მეორე, მოუწოდა ოპოზიციას დიალოგისკენ და მესამე, გახსნა ეკონომიკა და დაიწყო ზრუნვა საქართველოს მოსახლეობის იმ პრობლემების მოგვარებაზე, რაც ყველას აწუხებს.

— მიუხედავად იმისა, რომ ხალხის მხარდაჭერა არ აქვთ, „ნაცმოძრაობა" მაინც არ ისვენებს...

— მათ გაქცეული პრეზიდენტი — სააკაშვილი არ ასვენებთ. ამ არჩევნებმა „ნაცმოძრაობას" კიდევ ერთხელ დაანახა, რომ ხელისუფლებაში მათი დაბრუნების შანსი არჩევნების, კანონიერი გზით, ფაქტობრივად, გამორიცხულია, არ არსებობს. ამის დასტურია მოსახლეობის გაკეთებული არჩევანი დღესაც და 2012 წლიდან მოყოლებულიც. ამიტომ, მათთვის მუდმივი ამოცანაა გაავრცელონ ცრუ აზრი, თითქოს, საქართველოს მოქალაქეებს არჩევანსართმევენ ანუ, ხალხი კი არ წყვეტს ვინ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, არამედ ვიღაც სხვა.

ოთხი თვეა მათ ხელისუფლება, საერთაშორისო პარტნიორები დიალოგისკენ მოუწოდებენ, მაგრამ მათ ეს არ აწყობთ. რიგგარეშე არჩევნებს ითხოვენ. მისი დანიშვნის ყველაზე მარტივი გზა არის საგამოძიებო კომისიასთან თანამშრომლობა, რაც პარლამენტში შესვლის გარეშეც შესაძლებელია. დაადასტურონ თუ არსებობს არჩევნების გაყალბების თუნდაც ერთ პროცენტიანი მასშტაბი და ჩვენ, რიგგარეშე არჩევნები გვექნება. ამაზე უარს ამბობენ იმიტომ, რომ იციან, არჩევნები არ გაყალბებულა. მეორე, რომც დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები, სისტემა იგივე დარჩება, საარჩევნო ადმინისტრაციაც იგივე, ასევე, ხარვეზები, პრობლემებიც იგივე, რაც 31 ოქტომბერს იყო. შექმნილია სამუშაო ჯგუფი, ვინც ამ ყველაფრის რეფორმაზე მუშაობს, რათა უკეთესი საარჩევნო გარემო გვქონდეს. „ქართული ოცნება" როგორც ხელისუფლება, პირველ რიგში, ვალდებულია გადადგას ნაბიჯი დიალოგისკენ, დეესკალაციისკენ, მაგრამ ეს ყველაფერი არ უნდა მოხდეს სახელმწიფოს ინტერესების ვერგატარების ხარჯზე და კანონის მაღლა ვერავინ უნდა დადგეს იქნება ეს პარტიის ლიდერი, რიგითი წევრი თუ მხარდამჭერი.

— ვადამდელი არჩევნები რომც დაინიშნოს, ეს რამდენად არის გამოსავალი. ხომ შეიძლება, „ნაცებმა" შედეგები ისევ დაიწუნონ და ასე გაგრძელდეს უსასრულოდ.

— კი, კი, საბოლოო ჯამში, რეალურად, ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მიზანი შემდეგია: თითქოს, არჩევნების დანიშვნით ხელისუფლება აღიარებს, რომ არჩევნები გაყალბდა და ახალი დანიშნა. მეორე მხრივ, მათ სურთ: ის რაც 1 ნოემბერს ვერ განახორციელეს, ახლა, ხელახალი არჩევნების მეორე დღეს გააკეთონ. მერე ისევ დაიწყებენ საუბარს გაყალბებაზე, ხმების მოპარვაზედა ა.შ. ინფორმაციის გავრცელებაში პარტიული ტელევიზიებიც შეუწყობენ ხელს და ჰგონიათ, ამით მეტ ხმას მიიღებენ. ოპოზიციური პარტიების გარკვეულმა ნაწილმა 31 ოქტომბერს ნახევარი მილიონი ამომრჩეველი მოატყუა, თითქოს, მესამე ძალა იყვნენ და მათ არც „ნაცებთან" სურდათ თანამშრომლობა, არც „ქართულ ოცნებასთან", არამედ თავისი გეგმა ჰქონდათ. თუმცა, ვხედავთ, რომ „ნაცმოძრაობის" დანამატებად იქცნენ. დარწმუნებული ვარ, ხელახალი არჩევნები რომ ჩატარდეს „ქართული ოცნება" კიდევ უფრო მეტ ხმას აიღებს იქედან გამომდინარე, როგორადაც დღეს დესტრუქციული ოპოზიცია იქცევა. ხელისუფლებაში დარჩენის თუ მოსვლის ერთადერთი გზა არის მთავარი წყარო — ხალხი. დიახ, სწორედ ხალხი არის ხელისუფლების წყარო და არა რევოლუციის, დესტრუქციის და დაპირისპირების. ეს კიდევ ერთხელ აჩვენა 26 თებერვლის აქციამ, როცა საერთო საყოველთაო მობილიზება იყო გამოცხადებული და შედეგი სავალალო მიიღეს. თელავიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან ხალხი თავიანთი კარვებიან-ჩემოდნებიანად ჩამოიყვანეს და დავინახეთ რა რაოდენობაც შეგროვდა. აქ, თავების თვლა არ არის მნიშვნელოვანი, ერთი ადამიანის პროტესტიც ძალიან საყურადღებოა, მაგრამ იქ, შეკრებილი ადამიანების რაოდენობამ აჩვენა, რომ მათ შორის, თავისი მომხრეებიც არ მიდიან იმ აქციებზე.

— საინტერესოა, რისი იმედი აქვთ — 27%-ის ნაცვლად ხელში 5% შერჩათ?

— ხო, რა თქმა უნდა, ეს არის ჩვეულებრივი და სრულიად სამართლიანი შედეგი იმ თვალსაზრისით, რომ ხალხი ვინც მათ მხარს უჭერს, მომხრეა პარლამენტში საქმიანობის გაგრძელების და არა ქუჩაში არეულობის შექმნის. როცა „ნაცებს" ქუჩაში და კარავში ხედავენ, რა თქმა უნდა, მხარდაჭერა მინიმალურია. ვთქვით, რომ მელიამ გირაო შეგნებულად არ გადაიხადა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ რაოდენობის ადამიანებიც არ ეყოლებოდათ ახლა გვერდით. სწორედ ამიტომ წავიდნენ ასეთ რადიკალიზმზე. შეეცადნენ ტემპერაატურა აეწიათ შიგნითაც და გარეთაც, შეექმნათ განწყობა, თითქოს, ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესებს, საერთაშორისო კურსს პრობლემა აქვს და ა.შ. გაუგებარია, მელიას დაჭერას რა კავშირი აქვს მოსახლეობის არჩევანთან, რაც 30 წელია გავაკეთეთ ნატოსთან, ევროკავშირთან ინტეგრაციის კუთხით. პროდასავლურ ორიენტაციას რა კავშირი აქვს მელიას დაკავებასთან?" დემოკრატია მხოლოდ ნიკა მელიას დაჭერა ხომ არ არის. მოსახლეობის განწყობა ასეთია: „ნაცმოძრაობა" მუდმივად იქნება ოპოზიციაში და ხელისუფლებაში ვერასდროს დაბრუნდება. ეს ასე იყო, არის და იქნება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ვინ შევნიროთ მსხვერპლად რევოლუციას და ვინ დავაჭერინოთ ქოცებს?

საგანგებო თათბირი „ნაცმოძრაობის“ ოფისში

„ნაცმოძრაობის“ ოფისში „ნაცმოძრაობისა“ და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა გაფართოებული სხდომა გაიმართა.

სხდომაზე ერთადერთი საკითხი განიხილებოდა — „ვინ დავაჭერინოთ ქოცებს?“

მთავარმა მომხსენებელმა გიგა ბოკარიამ მოკლედ მიმოიხილა მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, შემდეგ კი უშუალოდ საქმეზე გადავიდა.

— ცუდად არის საქმე, მეგობრებო, ექსპერიმენტმა „დავაჭერინოთ ნიკანორ მელია, ავაგოროთ ახალი ეროვნული მოძრაობა და დავამხოთ ივანიშვილი“ არ გაამართლა — 4000 კაცი ძლივს მოვაგროვეთ 26 თებერვლის აქციაზე. არ გამოვიდა ხალხი ქუჩაში — სულ ფეხებზე დაიკიდეს ნიკანორის თავდადება.

●

დ. ბაქრაძე: — პიარში დავუშვით შეცდომა, პიარში...

გ. ბოკერია: — რა შეცდომა დავუშვით პიარში?

ლ. ბაქრაძე: — სახელი და გვარი უნდა შეგვეცვალა მაგისთვის — ნიკანორ მელია ვერ ჟღერს მაინცდამაინც რევოლუციურად.

გ. უგულავა: — ხომ შევუცვალეთ, კაცო, სახელიცა და გვარიც? მერაბ კოსტავა არ დავარქვით? ცოტნე დადიანი გვინდოდა დაგვერქმია, მაგრამ არ ქნა ბატონმა ანზორმა — ეს ერთი კაცი გვყავს გვარში მელიებს გმირი და იმასაც დადიანად ვერ გადავაკეთებო.

თ. ბოკუჩავა: — არადა, რა კარგი იქნებოდა... გავაშიშვლებდით წელს ზემოთ, წავუსვამდით თაფლს და დავსვამდით პარლამენტის წინ. მერე სხვებსაც მივუსვამდით გვერდით და ასე აგორდებოდა დიდი საპროტესტო ტალღა.

გ. ბოკერია: — იქით კიდევ კონგრესმენმა ტომას მელიამ გადაგვჭამა თავი — რას ჰქვია, ჩემი მოგვარე დაგიჭერიათ, მელიების მეტი ვერავინ ნახეთ დასაჭერი? გამოუშვით სასწრაფოდ, თორემო... — იმუქრება. ხომ იცით მეგრელების ამბავი, არ მოგვეშვება ეგ ტომასი, რაღაც თუ არ ვიღონეთ.

ბ. ქარდავა: მამუკა ხაზარაძის კანდიდატურაზე რას იტყვით? მაგის დაჭერა ისედაც უნდათ ქოცებს, ჩვენს ცოტა წავაშველოთ ხელი და სიამოვნებით გასკვანჩავენ.

შ. ნათელაშვილი: — კი, გასკვანჩვით კი გასკვანჩავენ, მაგრამ ხალხი გამოვა ქუჩაში მამუკას გამო?

მ. ხაზარაძე: — რატომ მაყენებთ, ბატონო შალვა, შეურაცხყოფას? რისი თქმა გინდათ თქვენ — მე ისეთი მაღალი რეიტინგი არ მაქვს, რომ ჩემი დაჭერა ღირდეს?

შ. ნათელაშვილი: — შეურაცხყოფა არც მიფიქრია, ბატონო მამუკა, მაგრამ არც ისეთი მაღალი რეიტინგი გაქვთ თქვენ, რომ ხალხმა თქვენს გამო ვენები გადაიჭრას. მე კი ვიცი ასეთი ადაიანი, ვის გამოც მთელი საქართველო პარლამენტსა და კანცელარიას ზღვასავით მიაწყდება, მაგრამ...

გ. ბოკერია: — რა მაგრამ, თქვით, ბატონო შალვა, დაასახელეთ, ვინ არის ასეთი?

შ. ნათელაშვილი: — ვინ არის და მე ვარ, შალვა ნათელაშვილი, მაგრამ, რად გინდა, ჩემი ციხეში ჩაჯდომა არ შეიძლება — ხომ იცით, გულის ოპერაცია მაქვს გაკეთებული, მიშას რა ვუთხარი მე... ნინო ბურჯანაძე ხომ არ დავაჭერინოთ?

ს. სამადაშვილი: — არ არის ცუდი აზრი... ძაან დავიჩაგრეთ ქალები. ლუიზა შაკიაშვილის და თამარ ჩხეიძის მერე პოლიტიკოსი ქალბატონებიდან, მგონი, არც არავინ დაუჭერიათ. არადა, რამდენი დასაჭერი ქალბატონი გვყავს, ისეთები, ციხეს რომ დაამშვენებენ, მაგალითად, თინათინ ბოკუჩავა, ელენე ხოშტარია, ხატია დეკანოიძე, მაგრამ, მოდით, უფროს თაობას ვცეთ პატივი და დავაჭერინოთ ქალბატონი ნინო, მე მხარს ვუჭერ წინადადებას.

თ. ჩარკვიანი: — ქალბატონო სალომე, თქვენ და თქვენმა პარტიამ, თუ რაღაც სახეირო საქმეა, არ შეიძლება უკან არ დამწიოთ. ბურჯანაძეს, ხოშტარიას, დეკანოიძეს და ბოკუჩავას რომ მივარდით, ერთი კარგად დამაკვირდით — მე ვინმეზე ნაკლები დასაჭერი ვარ?

ს. სამადაშვილი: — არა, როგორ გეკადრებათ...

თ. ჩარკვიანი: — არ გინდათ ახლა დიპლომატიური რევერანსები, სპეციალურად მიკეთებთ ამას, მაგრამ არაფერი გამოგივათ... რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის კანდიდატურას, მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ! თქვენ რა, რუსეთ-საქართველოს შორის ახალი ომის პროვოცირება გინდათ? ჩვენ რომ ნინო ბურჯანაძე დავაჭერინოთ, ვლადიმირ პუტინი ტანკებითა და თვითმფრინავებით შემოიჭრება საქართველოში, რომ თავისი დაქალი ნინა ანზოროვნა ტყვეობიდან გამოიხსნას... ოკუპაცია მერე ნახეთ თქვენ...

ფ. ჩიხრაძე: — ჭკვიანი ქალი ხართ, თქვენ, თამარ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი.. წინადადება შემომაქვს, დავაჭერინოთ ქოცებს ქალბატონი თამარი, სახელოვანი ოჯახის სახელოვანი წარმომადგენელი, დასავლური ორიენტაციის უერთგულესი ადამიანი.

ნ. ბურჯანაძე: — რა დასავლეთი, რისი დასავლეთი... მთელი მაგისი საგვარეულო კანდიდიანავდიდიანად რუსეთის სამსახურში იყო და ქალბატონ თამარს რა დასავლეთი აუტყდა, ვერ გამიგია.

თ. ჩარკვიანი: ყველამ თავის რაიკომის მდივან მამიკოს მიხედოს.

ნ. ბურჯანაძე: — მამაჩემის რაიკომის მდივნობა რა მოსატანია ცეკას მდივნობასთან? დაგავიწყდათ, თქვენი კანდიდ ჩარკვიანი რომ ცეკას მდივანი იყო?

გ. ბოკერია: — დავანებოთ თავი წარსულში ქექვას. ჩვენ ყველანი ვიღაცის შვილები და შვილიშვილები ვართ, მაგრამ მერე რა, ამის გამო ცუდი ბიჭები და ცუდი გოგოები ვართ?

დ. ბაქრაძე: — ასე რომ ჩავყვეთ, მიშას ბაბუა, ცხონებული მიხეილ სააკოვი, 37-იან წლებში უღმერთოთა კავშირის თავმჯდომარე იყო, ხოლო ბიძამისი თემურ ალასანია კგბ-ს პოლკოვნიკია, მაგრამ მიშა ხომ გამოვიდა დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსი?

გ. ბოკერია: — სხვა კანდიდატურები დავასახელოთ, მეგობრებო, აბა, კიდევ ვისა აქვს წინადადება?

ხ. სამნიძე: — თქვენი თავი რომ დავაჭერინოთ, ბატონო გიგა? ვიცი, თავმდაბალი კაცი ხართ თქვენ, მაგრამ ასეთი თავმდაბლობაც არ ვარგა. ვისზე ნაკლები ხართ თქვენ — მთელი დასავლეთი გიცნობთ და პატივს გცემთ.

თ. კორძაია: — არ არის ცუდი აზრი... გიგა რომ დაიჭირონ, სხვებს რომ თავი დავანებოთ, თამარა ჩერგოლეიშვილი ისეთ წივილ-კივილს ატეხავს, ათას კაცს გადასწონის.

გ. ბოკერია: — მე წინააღმდეგი ვარ ჩემი დაჭერის. არ გამოდგება ჩემი კანდიდატურა, იმდენი კომპრომატი დაახვავეს ჩემს წინააღმდეგ ზოგი ჩვენებმა, ზოგი — ქოცებმა, ამოქექავენ ამ კომპრომატებს და ატყდება ერთი ამბავი.

ი. ოქრუაშვილი: — ჰო, ეგეც მართალია. მე, მაგალითად, მზად ვარ, რომ კიდევ ერთხელ დავაჭერინო თავი და ვემსახურო სამშობლოს, მაგრამ უხერხულია — არ იტყვიან, სულ ამ ოქრუაშვილს და უგულავას რატომ იჭერენ, სხვა არავინ ჰყავს ამ ოპოზიციასო? ნიკა გვარამია რომ დავაჭერინოთ?

პ. დავითაია: — არ ივარგებს... ეგ ეკრანზეა გულადი და მამაცი, თორემ, სინამდვილეში, ძალიან მშიშარა კაცია. შეიძლება ტირილი დაიწყოს და ყველაფერი დაფქვას. შეგვარცხვენს...

დ. ჭიჭინაძე: — აბა, რა ვქნათ? თავი მოგვეჭრება დასავლეთის წინაშე. არ იტყვიან, ერთი დასაჭერად ვარგისი კაცი თუ არ გყავდათ ამ ოპოზიციას, ამდენი ხმაური რატომ ატეხეთ და შეცდომაში რატომ შეგვიყვანეთო?

ნ. მაჭუტაძე: — მე მყავს ერთი ძაან მაგარი კანდიდატურა... ყველას რომ მოუჯოკრავს, ისეთი... აი, ეგ თუ დავაჭერინეთ ქოცებს, რევოლუცია გარანტირებული გვაქვს, მაგრამ არ ვიცი, ვთქვა თუ არა...

ხ. დეკანოიძე: თქვი, ნიკუშ, თქვი, ხომ ხედავ, სამშობლო განსაცდელშია.

ნ. მაჭუტაძე: — მიშა სააკაშვილი!

გ. სანიკიძე: — ხომ არ გაგიჟდი შენ? ლაპარაკი გაასწორე, თუ ძმა ხარ. მაგის დაჭერა მელიას დაჭერა ხომ არ გგონია?

ნ. მაჭუტაძე: — ვიცი, ბატონო გუბაზ, ვიცი, მაგრამ, იქნებ, კოლექტიური თხოვნა გავუგზავნოთ ყველამ, ავუხსნათ სიტუაცია და მუხლმოდრეკით ვთხოვოთ, ერთი თვით, თუნდაც ორი კვირით ჩაჯდეს ციხეში, რომ ათიათასები და ასიათასები გამოვიდნენ ქუჩაში და ეს საძულველი ქოცები მილეწ-მოლეწონ.

გ. სანიკიძე: — არ გამოვა, ბატონო, ეს ამბავი. ჯერ ერთი, მიშა რომ დაიჭირონ, დასავლეთმა ცალკე უნდა მოგცეს სანქცია, აღმოსავლეთმა — ცალკე. მეორე, არ იცით თქვენ, მიშას დახურული სივრცის მიმართ ზეემოციური აგრესია რომ აქვს? შეიძლება გაგიჟდეს, ჭკუიდან გადავიდეს, გასაკოჭი გახდეს, თორემ დაანგრევს ყველაფერს. არ გახსოვთ, კიევში, კაფეში რომ დაიჭირეს, რა დაემართა?

გ. ბოკერია: — კი, ჩაიფსაო, ამბობენ...

გ. სანიკიძე: — ჭორია ეგ!

გ. ბოკერია: — რა იცი, იქნებ, არ არის ჭორი? აქაც რომ დაემართოს ეგ ამბავი, ქვეშაფსია ბელადისთვის ვინ გადადებს თავს? ეგ რომ მოხდეს, მოგვეჭრება თავი მსოფლიოს მასშტაბით. ვერა, ვერ გავრისკავთ, ვინმე სხვა მოვძებნოთ.

●

თათბირი გვიანობამდე გაგრძელდა.

ბევრი იკამათეს, ბევრი ვინმე დაასახელეს დასაჭერთა სიაში, მაგრამ შეთანხმებით ვერავის კანდიდატურაზე ვერ შეთანხმდნენ.

— რევოლუცია არა ფლავი! ამხელა „ნაცმოძრაობაში“, ამხელა ოპოზიციაში ერთი კაცი რომ ვერ მოიძებნება, ვისთვისაც ხალხი ქუჩაში გამოვა, იქ რა რევოლუცია უნდა მოახდინო? ისე, რა გარეწრები არიან, ნახე, შენ? დასახელებითაც კი არ დამასახელეს, ზრდილობის გულისთვისაც კი არ მახსენეს ამ ახვრებმა, — ჩაილაპარაკა გიორგი ვაშაძემ და წინ მიმავალ თაკო ჩარკვიანს გაეკიდა.

მაქვს ინფორმაცია, რომ ირაკლი ღარიბაშვილის საწინააღმდეგო კამპანიის წარმოებისთვის, გიორგი გახარიას დავალებით, ელისო კილაძეს ძვირადღირებული ბინა შეუძინეს

გვესაუბრება სამოქალაქო აქტივისტი ირაკლი ჯანყარაშვილი:

— ირაკლი, თქვენს ფეისბუკ-პოსტებში და საჯარო გამოსვლებში ამბობთ, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ნაციონალებს მფარველობდაო. რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას?

— პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რომ გიორგი გახარია მფარველობდა ნაციონალებიდან პორტირებულებს. კერძოდ, მაგალითად, ქალბატონ თამარ იოსელიანს, რომელიც ლევან ვარშალომიძის უახლოესი გარემოცვის წევრია. ის დღემდე მუშაობს საზღვაო-სატრანსპორტო სააგენტოს გენერალურ დირექტორად.

ქალბატონი თამარი უწყებაში მუშაობის პერიოდში ყოველთვის გამოირჩეოდა ნაციონალებისადმი

სიმპათიით და განსაკუთრებულ ზიზღს გამოხატავდა 2018 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, პრეზიდენტობის კანდიდატ სალომე ზურაბიშვილის მიმართ და უწოდებდა მას მოღალატეს და რუსეთის აგენტს.

ქალბატონი იოსელიანი თავის თანამშრომლებს არ აძლევდა უფლებას ზურაბიშვილის სასარგებლო განცხადებები გაეკეთებინათ, თუნდაც სოციალურ ქსელში და უკრძალავდა მათ რაიმე ფორმით მხარი დაეჭირათ პრეზიდენტობის კანდიდატისათვის.

თამარ იოსელიანი ყოველთვის განსაკუთრებული აგრესიით იყო განწყობილი ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ, უწოდებდა მას „ბნელ გრუზინს“ და რუსეთუმეს. ამბობდა, რომ ის არის ადამიანი, რომელიც საქართველოს რეგრესიისკენ მიაქანებდა. ხოლო მისი არყოფნა მთავრობაში, ეს იყო ხელისუფლების მიერ წინ გადადგმული ნაბიჯი. ამბობდა, რომ მსგავს „ბნელ გრუზინებს“ არ უნდა ემართათ ეს ქვეყანა.

თამარ იოსელიანის მიმართ უწყებაში არსებობს მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით.

ის 2014–15 წლებში შემჩნეული იყო ე.წ. ინვოისების გაყალბებაში, მივლინებების დროს ხარჯების გაბერვაში და ბიუჯეტის თანხების მითვისებაში.

საზღვაო-სატრანსპორტო სააგენტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება 10 მილიონი ლარით, თუმცა ძვირდება მეზღვაურების სერტიფიკატები, სახელმწიფოს არ ჰყავს ერთი გემიც კი. თუმცა ჰყავს, არის ერთი ნახევრად წყობიდან გამოსული გემი, რომლის რემონტისთვის კაპიკსაც ვერ იმეტებს საზღვაო-სატრანსპორტო სააგენტო.

სააგენტოში ამის გარდა უამრავი პრობლემაა, თუმცა ხელმძღვანელობა საერთოდ არ ინტერესდება ამ პრობლემებით.

მარტო ის რად ღირს, რომ სახელმწიფოში არ არის არც ერთი გემთმფლობელი, არ შესრულებულა არც ერთი საერთაშორისო ნაოსნობა, რასაც ეს ქალბატონი მოსვლის პერიოდში გვპირდებოდა. სააგენტოში ყველაფერი დღემდე მიმდინარეობს იოსელიანის ხუშტურების მიხედვით.

— თქვენ როდის და რატომ დაინტერესდით სააგენტოს საქმიანობით, რაიმე შეხება და პირადი ინტერესი ხომ არ გაქვთ?

— არავითარი. ჩემი მეგობარი ზაალ ლუხუტაშვილი, რომელიც, იმედია, არ მიწყენს, მის სახელს საჯაროდ რომ ვახსენებ, პოლიტიკური სიმპათიის გამო გაათავისუფლა სამსახურიდან. ზაალი აქტიურად იყო ჩართული ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიაში იმ კუთხით, რომ ემხრობოდა ზურაბიშვილის კანდიდატურას საპრეზიდენტო არჩევნებზე.

ზაალს კონტრაქტი შეუჩერა ქალბატონმა იოსელიანმა, რადგან ჩემი მეგობარი გამოირჩეოდა სალომე ზურაბიშვილისადმი სიმპათიით.

მას შემდეგ მე არაერთი ინტერვიუ მივეცი სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებს, სადაც ვამბობდი, რომ ადამიანი დაიჩაგრა უსამართლოდ.

ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ სცადა თამარ იოსელიანმა ჩემთან დაკავშირება, მერე მოადგილე ვანიკო აბაშიძე და თანაშემწე თაკო ჯანელიძეც მომიგზავნა. მე შევხვდი მათ. შეხვედრისას ვანიკო აბაშიძე გამოირჩეოდა აგრესიით. ერთმანეთს შევხვდით კაფეში, სადაც ხელს მიბრახუნებდა მაგიდაზე და მეუბნებოდა: მოდი ჩვენთან და ყველაფერს აგიხსნითო.

თავად ვანიკო აბაშიძეც ვერ იტანს ირაკლი ღარიბაშვილს და არის ეკლესიის და ჩვენი პატრიარქის მტერი. არსებობს ჩანაწერი, რომელსაც ნებისმიერ დროს წარმოგიდგენთ და იქ ნახავთ, როგორც დასცინის და შეურაცხყოფას აყენებს პატრიარქს, საპატრიარქოს და წმინდა მოწამეებს.

— მაგრამ გიორგი გახარიასთან კავშირები აქ რა შუაშია?

— როდესაც დავიწყე მოკვლევა, როგორ ინარჩუნებდა ეს ქალბატონი თანამდებობას მაშინ, როცა საზღვაო-საპრანსპორტო სააგენტოს საქმიანობა უკუსვლით მიდიოდა, სანდო წყაროს ინფორმაციით, აღმოჩნდა, რომ უშუალოდ გიორგი გახარია მფარველობდა მას.

რამდენიმე ხნის წინ მე დამიკავშირდა ერთი ჩემი მეგობარი, რომელიც არის გიორგი გახარიასთან დაახლოებული პირი და მთხოვა, რომ ახლა, ამ ეტაპზე, თავი შემეკავებინა იოსელიანზე საუბრისგან, რადგან ამჟამად არ იყო ამის დრო.

— ცოტა უცნაურად მეჩვენება ბათუმში არსებული საზღვაო-სატრანსპორტო სააგენტოს წარმომადგენლისა და პრემიერის მეგობრობა. ეცალა პრემიერს საზღვაო სააგენტოს ხელმძღვანელისთვის?

— მოგეხსენებათ, საზღვაო-სატრანსპორტო სააგენტო ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებაა. ქალბატონ იოსელიანს პრემიერთან შეიძლებოდა ჰქონოდა საქმიანი შეხვედრები. შემდეგ როგორ წარიმართა ურთიერთობები, ეს, რა თქმა უნდა, მე არ ვიცი.

ჩემი კავშირებით და წყაროების ინფორმაციებით, რომელიც ყველამ იცის, რომ მრავალრიცხოვანია, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა ერთი რამ — თამარ იოსელიანს ლობირებდა გიორგი გახარია, ხოლო თამარ იოსელიანი არის



ნაცმადიდებელი და „ქართული ოცნების“ მტერი.

ირაკლი ღარიბაშვილის გაპრემიერების შემდეგ, როცა მე არქივიდან ამოვიღე ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემული ადრინდელი ჩემი ინტერვიუ, სადაც ვამბობდი, რომ ქალბატონი ისელიანი ებრძოდა „ქართულ ოცნებას“ და სალომე ზურაბიშვილს არჩევნების მიმდინარეობისას, აი, მაშინ დამირეკა გახარიასთან დახლოებულმა ერთმა ძველმა მეგობარმა, რომელზეც ზემოთ გითხარით და გაჩუმება მთხოვა. ამან კიდევ ერთხელ გამიმყარა ეჭვები, რომ გახარიას მხრიდან იყო იოსელიანი მხარდაჭერილი.

დღესდღეობით ყველამ იცის საზღვაო-სატრანსპორტო სააგენტოში, რომ თამარ იოსელიანი არის ირაკლი ღარიბაშვილის მაგინებელი, მისი მტერი და, ამასთან ერთად, სააგენტოს საქმიანობის შემაფერხებელი, თანხების არამიზნობრივად გამფლანგველი.

თუ შესაბამისი უწყება საზღვაო-სატრანსპორტო სააგენტოს საქმიანობით დაინტერესდება, დარწმუნებული ვარ, უამრავ კანონდარღვევას იპოვის.

არსებობს საჯარო დოკუმენტაცია საზღვაო-სატრანსპორტო სააგენტოს ფინანსური ნაწილის შესახებ. შესაბამის საიტზე ინფორმაციების მოძიებით ყველა მოქალაქეს შეუძლია ნახოს, რომ ქალბატონ იოსელიანს აქვს უზარმაზარი ხელფასი, ასევე მის მოადგილეებს და ისინი ამ ხელფასებს იღებენ არაფრის კეთებაში.

ამას გარდა, 10 მილიონით ფინანსდება ბიუჯეტიდან საზღვაო-სატრანსპორტო სააგენტო და სად მიდის ეს თანხები, გაგვარკვიონ თუ შეიძლება — რატომ არ მზადდებიან კურსანტები, რას აკეთებს საზღვაო აკადემია? რას აკეთებს და ირაკლი ღარიბაშვილის, „ქართული ოცნების“ და სახელმწიფოს მტრების ბუდედაა ქცეული იქაურობა.

მე შემიძლია ერთი ჩემი ახლობლის მობილურის ნომერიც მოგცეთ, რომელიც თავადაც დაგიდასტურებთ ჩემს ნათქვამს და უამრავ ადამიანსაც დაგაკავშირებთ, რომლებიც, ასევე, დაადასტურებენ ჩემი სიტყვების სისწორეს.

თქვენ მოუსმენთ საზღვაო-სატრანსპორტო სააგენტოს ყოფილ თანამშრომლებს, რომლებიც დაასაბუთებენ, რომ იდევნებოდნენ სააგენტოს ხელმძღვანელისგან ხელისუფლებისადმი მხარდაჭერის გამო.

ყოველივე ეს, მე, ირაკლი ჯანყარაშვილს, მიმყარებს ეჭვებს, რომ გიორგი გახარია დაახლოებული იყო „ნაცმოძრაობასთან“, რადგან ის მფარველობდა „ქართული ოცნების“ მტერს თამარ იოსელიანს.

გახარიას დავალებით დაიწყო ტელეკომპანია „ფორმულამ“ და ელისო კილაძემ ღარიბაშვილის წინაღმდეგ შავი პიარი. ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო დაინტერესებული ირაკლი ღარიბაშვილთან ბრძოლით თუ არა გიორგი გახარია, რომელიც ძალაუფლებას კარგავდა?

— ირაკლი, რითი ამტკიცებთ, რომ ეს საინფორმაციო შტურმი ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ გიორგი გახარიას მიერ იყო მხარდაჭერილი და პროვოცირებული?

— დააკვირდით ორ მნიშვნელოვან რამეს: ელისო კილაძე გახლავთ ნიკა გვარამიასთან დაახლოებული და „ნაცმოძრაობასთან“, ასევე, ახლოს მდგომი პირი. როცა „ნაცმოძრაობას“ თავის სატელიტ პარტიებთან ერთად კამპანია ჰქონდა გაშლილი გიორგი გახარიას წინააღმდეგ, რომ ის იყო „თვალთხარია“, ე.წ. „გავრილოვის ღამის“ ჯალათი და ა. შ. ელისო კილაძე იყო ადამიანი, რომელიც გულმხურვალედ უჭერდა მხარს გიორგი გახარიას. მეორე: ელი-

სო კილაძე არავის ისე არ ერჩის და არავინ, ასე ვთქვათ, არ ეჯავრება „ქართულ ოცნებაში“, როგორც ირაკლი ღარიბაშვილი. ვინც ოდნავ ჩახედულია და თვალს ადევნებს პოლიტიკურ პროცესებს, ყველამ კარგად იცის, მარტივი ანალიზია ის, რომ გახარია და კილაძე ერთად იბრძოდნენ ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ. მათ, რატომღაც, ერთდროულად გაუჩნდათ საერთო ინტერესი — ირაკლი ღარიბაშვილის მტრობა.

გიორგი გახარია ამბობდა, რომ არსად არ მიდიოდა და უცებ გააკეთა განცხადება, რომ ტოვებს თანამდებობას.

აქვე საინტერესოა ისიც, რომ ელისო კილაძე ამ მოვლენამდე გარკვეული დროით ადრე ამბობდა, რომ გახარია დატოვებდა თანამდებობას. მე იმას არ ვამბობ, რომ გახარია უთანხმებდა კილაძეს რაიმეს, მაგრამ ინფორმაციის ფლობა და წვდომა სხვა რამეს გვაფიქრებინებს.

მაქვს ინფორმაცია, რომ ირაკლი ღარიბაშვილის საწინააღმდეგო კამპანიის წარმოებისთვის გიორგი გახარიას დავალებით, ელისო კილაძეს ძვირადღირებული ბინა შეუძინეს.

მე ვამტკიცებ, რომ ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ ელისო კილაძის მიერ წარმოებული კამპანია არის გიორგი გახარიას დავალებით მართული ომი — დააკვირდით ელისო კილაძის სატელევიზიო გამოსვლებს, ის დადებითად მოიხსენიებს გიორგი გახარიას და ამბობს, რომ იყო ყველაზე კარგი პრემიერი „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში და ის იყო მისი პრემიერი.

არაერთხელ იყო ელისო კილაძე ტელეკომპანია „მთავარის“ პოლიტიკური შოუების არა მხოლოდ მონაწილე, არამედ წამყვანიც და არასდროს უთქვამს აუგი გახარიასადმი, იმის მიუხედავად, რომ „მთავარი არხი“ და „ნაცმოძრაობა“ ღიად ებრძოდნენ ყოფილ პრემიერს.

„ნაცმოძრაობა“ ელისო კილაძეს იყენებდა ირაკლი ღარიბაშვილის, როგორც ყველაზე პატრიოტი ადამიანის წინააღმდეგ და ის ავტომატურად გახდა გიორგი გახარიას მოკავშირე. გიორგი გახარიამაც, როგორც ჩანს, გამოიყენა ეს შანსი.

ეს ქალბატონი არაერთ, ვითომ პროგნოზს აანონსებს, თუმცა მისი არც ერთი სიტყვა არ გამართლებულა, ის მაინც თავისას „უბერავს“.

თუ არა შანტაჟი და საეჭვო კავშირები, როგორ დააგროვა ელისო კილაძემ თავისი მცირეტირაჟიანი გაზეთით ის კაპიტალი და ქონება, რომლის შესახებაც საჯაროდ საუბრობს.

როგორც კი ირაკლი ღარიბაშვილი თავდაცვის მინისტრი ხდება, მაშინვე იწყება ელისო კილაძის მიერ ღარიბაშვილის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი.

— რატომ ელისო კილაძე?

— „ნაცმოძრაობა“ დიდი ხანი ებრძოდა ირაკლი ღარიბაშვილს, მაგრამ ახლა საჭირო იყო უფრო მეტად ავანტურისტი, ცილისმწამებელი და ყველაფერზე წამსვლელი ადამიანი მის წინააღმდეგ. მით უფრო, რომ ღარიბაშვილთან კილაძეს ადრიდანვე ჰქონდა მტრული დამოკიდებულება. თუმცა ელისო კილაძე არ არის ის „ჩიტი“, რომელიც ტყუილად იყვირებს, ის ყველაფერს გარკვეული დივიდენდების საფასურად აკეთებს.

ირაკლი ღარიბაშვილი, ერთადერთი ადამიანია, ვინც ყოველთვის ღიად და უკომპრომისოდ უპირისპირდებოდა „ნაცმოძრაობას“. გიორგი გახარია კი, შეძლებისდაგვარად, ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენდა ყოველთვის, იმის მიუხედავად, რომ ამბობდა: დავამთავრებ ნაცებსო. მას არც ერთი ნაბიჯი არასდროს გადაუდგამს ნაციონალების, ამ დამნაშავეების და კრიმინალების ვითომ „დასამთავრებლად“. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, გიორგი გახარია თავად „დამთავრდა“ პოლიტიკაში. ახლა ირაკლი ღარიბაშვილის დროა“.

ჩვენ დავუკავშირდით საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელს ქალბატონ თამარ იოსელიანს, რომელმაც სააგენტოს პრესსამსახურის საშუალებით, ასეთი პასუხი გაგვცა:

„ირაკლი ჯანყარაშვილი წლების განმავლობაში ეწევა საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და მისი ხელმძღვანელი პირების მიზანმიმართულ დისკრედიტაციას. მის მიერ გაჟღერებული ბრალდებები არ შეესაბამება სიმართლეს და არის ცილისწამება.

ამ უკანასკნელის უსაფუძვლო განცხადებებზე საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს პასუხის გაცემა მიზანშეწონილად არ მიაჩნია“.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„ზაიჩიკები“

ზვიად გამსახურდიას პიროვნებას და მის ღვაწლს უდიდეს პატივს ვცემდი, თუმცა ბევრ რამეს, რაც მაშინ კეთდებოდა, არ ვეთანხმებოდი და ამას არც ვმალავდი — ვწერდი წერილებს, ვაქვეყნებდი იმ იმედით, რომ იქნებ ვინმეს შეესმინა ჩემი ნათქვამი.

ერთმა პუბლიცისტმა ვრცელზე ვრცელი წერილიც კი მომიძღვნა და მატარებელს ჩამორჩენილი კაცი მიწოდა.

მაშინაც, 90-იან წლებშიც, მატარებელზე იყო საუბარი, როგორც სააკაშვილი მოუწოდებდა ვიღაც-ვიღაცებს, დროზე შემოახტით ჩვენს მატარებელს, თორემ მერე გვიან იქნებაო.

პუბლიცისტს, რომელიც რატომღაც გაშმაგებული იცავდა ჩემგან გამსახურდიას, თუმცა წერილში არაფერი იყო ნათქვამი გამსახურდიაზე, მალევე გავეცი პასუხი — მატარებელს ჩამორჩენილი კაცის მდგომარეობა სჯობია იმ კაცის მდგომარეობას, რომელიც მატარებელში კი ზის, მაგრამ არ იცის, ის მატარებელი სად მიდის-მეთქი.

ამ პაექრობიდან ერთი წელი არ იყო გასული, რომ პუტჩისტებმა კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლება დაამხეს და საქართველოში შევარდნაძე დაბრუნდა.

გავიდა მცირე ხანი და რას ვხედავ — კაცი, რომელიც ჩემგან „იცავდა“ გამსახურდიას, უცებ შევარდნაძის მრჩევლის პოსტზე არ „გაიჩითა?“

რამდენჯერმე გავიფიქრე — ავიღებ კალამს და ამ საბრალოს დავმარხავ-მეთქი, მაგრამ, რამდენიც შემხვდებოდა, თავს დახრიდა და ისეთი საცოდავი თვალებით ამომხედავდა, თითქოს პატიებას მთხოვდა.

მალე გავიგე, რომ შევარდნაძის მრჩევლად გარდასახული გამსახურდიას ყოფილი ქომაგი ბაზალეთის ტბაში დაიხრჩო — სრულიად ახალგაზრდა კაცს გულმა უმტყუნა...

ძალიან შემეცოდა და ისიც კი ვიფიქრე — რა კარგი ვქენი, რომ ის არ ვუთხარი, რასაც იმსახურებდა, თორემ მთელი ცხოვრება სინდისი შემაწუხებდა — მეც ხომ არ მიმიძღვის რაღაც ბრალი მის უეცარ გარდაცვალებაში-მეთქი.

მატარებლიდან მატარებელში მოხტუნავე „ზაიჩიკები“ ყოველთვის იყვნენ და ყოველთვის იქნებიან.

მრავლად არიან ისინი ახლაც, არიან აქეთ მხარეს და იქით მხარესაც.

„ზაიჩიკები“ საშიში ხალხია, რადგან მათ არავინ არ უყვართ, გარდა საკუთარი თავისა.

დიახ, მათ არავინ არ უყვართ, მაგრამ განსაკუთრებულად არ უყვართ ის ადამიანები, რომლებსაც სამშობლო უყვართ.

„ზაიჩიკები“ ცდილობენ ასეთები მატარებლიდან ჩაყარონ და ხშირ შემთხვევაში, მიზანს აღწევენ კიდევაც.

მირახრახებს მერე „ზაიჩიკებით“ გადატენილი მხიარული მატარებელი გაურკვეველი მიმართულებით, უგზო-უკვლოდ, უმისამართოდ და როცა რაღაცას დაეჯახება, ან ჩიხში ამოყოფს თავს, მხოლოდ მაშინ ხვდება მთავარი მემანქანე, რომ დიდი შეცდომა დაუშვა, მატარებლის ბედი და საკუთარი ბედიც „ზაიჩიკებს“ რომ ჩააბარა.

ამ ოცდაათი წლის განმავლობაში „ზაიჩიკების“ მიერ დალეწილი მატარებლების „გვამებითაა“ მოფენილი ქართული პოლიტიკის მაგისტრალები და ეს სამწუხარო ამბავი დღემდე გრძელდება.

„ანაკლია პორტის ეკოლოგიური მონიტორინგის ჯგუფი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ჯგუფის აქტიური წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ჩვენი სამშობლოს სასახელო წარსულის და დღევანდელი, ჭირშეყრილი აწმყოს პირუთვნელი მემატიანე

ბესიკ მამიას-ძე ფიფია

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ჟურნალისტის ბესიკ ფიფიას გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„გაწონასწორებული“ ყვარყვარე და გამოუსწორებელი თაღლითი

ნაპრემიერმინისტრალ გიორგი კვირიკაშვილს, რომელსაც ფრიად დადებით თვისებად გაწონაწორებულობას უთვლიდნენ „ქართულ ოცნებას“ შეხიზნულ-ჩამოკიდებული მოლიბერასტო ე.წ. პოლიტიკოსები თუ კოლექტიური ნაცები, თებერვლის თვეში აქვს ხოლმე განსაკუთრებული „გამონათებები“. ეს, რაც ნაცებს შეეხებათ, თორემ „წარმატებული“ ბანკირ-ბიზნესმენ მამუკა ხაზარაძეზე, რომელიც კვირიკაშვილის ლამის „ტრუსიკის“ ძმაკაცი ყოფილა, რა „ამაგი“ აქვს „გაწონასწორებულს“, ეგ ცალკე თემაა. ექს-პრემიერი შიგა და შიგ სასხვათაშორისადაც იმუქრება ხოლმე, არ „გამაბრაზოთ“, თორემ ავლაპარაკდებიო. ფეისბუქმომხმარებლები ეხვეწებიან, თქვი, რა გაქვს სათქმელი შე კაი კაცო, ქაჯანასავით, მაინც და მაინც მეორედ უნდა „შეგაშინონ“, რომ ენა ამოგედგასო. კვირიკაშვილმა გასული წლის თებერვალში, თანადგომა 50 მილიონის „მომპარავ“, ვითომდა ნაცებს გამდგარ გიგი უგულავას გამოუცხადა სოციალური ქსელით, გააკრიტიკა და დაამუნათა კიდეც მოქმედი ხელისუფლება, ექს-„ქალაქის თავის“ დაკავებასთან დაკავშირებით, ეს აქტი ქვეყნის პარტნიორთა მხრიდან, საქართველოში მართლმსაჯულების პოლიტიკური მიზნით გამოყენების შემთხვევად შეიძლება იყოს აღქმულიო. აქ ერთი საინტერესო მომენტია, ინტერნეტსივრცეში ამ ინფორმაციას მინაწერი აქვს, ამ პოსტის გამოქვეყნების შემდეგ, კვირიკაშვილის ფეისბუქგვერდი კვლავ აღარ იძებნებაო.ე.ი. არც მანამდე იძებნებოდა, რა გამოდის, კვირიკაშვილი საათის გუგულივით გამოხტება, დადებს ნაცჯალათების დასაცავ პოსტს და ქრება „ჰორიზონტიდან“?

23 თებერვალს, ანუ წითელი არმიის დღეს, კვირიკაშვილიც აჰყვა, როგორც ჩემი ფშაველი ახლობელი იტყოდა, დოლ-გარმონივით ძველ ძმაკაცს და განცხადება გაავრცელა, სადაც ხელისუფლებას მოუწოდა, გამონახეთ იურიდიული ინსტრუმენტები, მელიას პატიმრობიდან გასათავისუფლებლად. იმ მოცემულობაში, რაც დღეს ქვეყანაში შექმნილა, ხელისუფლებას ურთულესი არჩევანი ჰქონია, მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა მონახოს „ინსტრუმენტები“ და მელია გაათავისუფლოს, რომ საქართველომ დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი, დემოკრატიულ დასავლურ ქვეყანათა ოჯახშიო. იმ ხალხს, ვინც ჰკითხავს ნაპრემიერალს, პარლამენტის შენობაზე იერიშის მიტანა, რომელ დემოკრატიულ ღირებულებაში ჯდებაო, ამასთანავე, მაშინაც დაუგმია და დღესაც გმობს, პოლიციელთა გადაჭარბებულ ძალისმიერ ქმედებებს...

ერთი წლით ადრე პარლამენტის წინ შეკრებილმა საეჭვო „წარმომავლობის“ ახალგაზრდებმა და „ძველგაზრდებმა“, უწმაწური სიტყვებით რომ აგინეს და ბოთლები დაუშინეს, ამ ჩვენს „გაწონაწორებულს“, ნეტავ, მათ ქმედებაზე რას ფიქრობს?

ფეისბუქმომხმარებლები, გიორგი კვირიკაშვილის ამ ბოლო „თავგამოდებამ“ ძალზე გააკვირვა, ეს ის კვირიკაშვილი არ არის, ნიკანორ მელიას პარლამენტის სხდომათა დარბაზში პრემიერ-მინისტრის რანგში, კეთილების მო... ვნით რომ ემუქრებოდა, ახლა რა სიყვარულის ბუშტი გაუსკდა, ასე რომ ქომაგობს. მათი ე.წ. დაპირისპირება სპექტაკლი იყოო. კვირიკაშვილს ისიც გაუხსენეს, მაგის პრემიერობის დროს (2016-2017 წწ) უკავშირდება ადგილობრივი თვითმმართველობების „ქართული ოცნების“ ერთგული კადრებისგან „დაცლა“. ეს მიზანმიმართული ნაღმი იყო, და შედეგიც სახეზე გვაქვს. ეს „ჩალაგებული“ უნდა მოშორდნენ მმართველობასო. კვირიკაშვილი ალბათ ფიქრობს, მაშინ ვერ მოვასწარი მელიას კეთილების მო...ნა და ახლა უნდა ალბათო. მაშინ აგინებდა, ეტყობა იმდენი აგინეს ერთმანეთს, დანათესავდნენო. კვირიკაც კაი ყვარყვარე გამოდგა! კვირიკაშვილი რომ ნაცების“ „შნირი“ იყო, ეგ ყველამ ვიცოდით. ეს ბლუ, კაცად აქცია ბიძინა ივანიშვილმა და ახლა რა დღეშია.

ანაკლიის პორტთან დაკავშირებული „პერიპეტიებიც“ არ დაგვივიწყებია, რაც ალბათ, თავისუფლად შეიძლება შეფასდეს „საუკუნის აფერად“, რაშიც ხაზარაძე-კვირიკაშვილს ლომის წილი მიუძღვით.

ორი წლის წინ, ძალიან საინტერესო ანალიზი გაავრცელა უცხოეთში მოღვაწე ქართველმა ბლოგერმა, რომლის კომპეტენციაში ეჭვის შეტანაც დიდი ალბათობით გამორიცხულია. მამუკა ხაზარაძე ერთ-ერთი უმდიდრესი ბანკირიაო, კი ბატონო., ედუარდ შევარდნაძის მეშვეობით, ეს „წარმატებულიც“ ფრიად გამდიდრდა. ჩვენი რესპოდენტი, პროფესიონალი სამართალდამცავი და ეკონომისტი, სამართლიანად უწოდებდა ხაზარაძეს და 90-იან წლებში საეჭვოდ, თან მყისიერად გამდიდრებულებს, შევარდნაძის „დანიშნულ“ ბანკირებსა და ბიზნესმენებს. „თიბისი ბანკის“ და ანაკლიის განვითარების კონსორციუმის შესახებ აქამდე უცნობი არაერთი ინფორმაცია გავრცელდა, თუმცა ამ საკითხებისა და მათ ირგვლივ გაჩენილ კითხვებზე ხაზარაძე არ პასუხობსო. რას და რატომ უპასუხებდა „წარმატებული“, საკუთარ თავს ხომ არ „ჩაუშვებდა“?

მარტო საქართველო კი არა, როგორც რუსები იტყვიან, თავად სამყაროა პატარა, ყველა ყველას იცნობს და იცის, ვინ რით სულდგმულობს. რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია მამუკა ხაზარაძეს იმ ოლიგარქიულ სქემებზე სურდეს საუბარი, რომლის დალაგებასაც ყველა ხელისუფლების პირობებში ცდილობს და როგორც წესი, ახერხებს კიდეცო. მას სქემები „დალაგებული“ ჰქონდა შევარდნაძის მმართველობის დროს, ნაცმოძრაობის დროს და ალაგებდა გიორგი კვირიკაშვილის პრემიერმინისტრობის პერიოდში. ბიძინა ივანიშვილს ოლიგარქობას, თან რუს ოლიგარქობას რომ აძახებთ, იმ „კონტიგენტის“ საყურადღებოდ, თუ ვინმეს შეიძლება ოლიგარქი უწოდო, ეს მამუკა ხაზარაძეა, რომელიც ამ სტატუსის აბსოლუტურად ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებსო.

ნაცების ხელისუფლებიდან გაშვების შემდეგ, ანაკლიის პორტზე საჯაროდ საუბარი პირველად იმხანად ეკონომიკის მინისტრის თანამდებობაზე მყოფმა გიორგი კვირიკაშვილმა დაიწყო. ეს ჩვენი „გაწონასწორებული“, რომელიც ომამდე ექიმი ყოფილა და შემდეგ, 80-იანი წლების შუაში მიუღია ეკონომისტის დიპლომი, მუდმივად არწმუნებდა საზოგადოებას, მათ შორის, პოლიტიკოსებს, რომ ეს იყო „საქართველოს გადარჩენის“ პროექტი, რომელსაც არნახული ეკონომიკური ეფექტი ექნებოდა.

მოგეხსენებათ, არა არს დაფარული, რაც არ გაცხადდეს, ფართო საზოგადოებისთვის (თორემ საქმეში ჩახედულებმა მანამდეც იცოდნენ) კვირიკაშვილის პრემიერობიდან წასვლის შემდეგ, ბევრ რამეს მოეფინა ნათელი, გასაკვირი არაა, რატომ ლობირებდა კვირიკაშვილი ასეთი თავგამოდებით აღნიშნულ პროექტს. აღმოჩნდა, რომ ყოფილი პრემიერისთვის, მთავარი მარტო პროექტის განხორციელება კი არ იყო, არამედ მთავარი იყო ეს მისი მეგობრის მამუკა ხაზარაძის ხელით განხორციელებულიყო. სწორედ, კვირიკაშვილის დახმარებით, რაც მის გამალებული მცდელობაში გამოიხატებოდა, ჩაიგდო ხელში მამუკა ხაზარაძემ ამ პროექტის მენეჯმენტი. ცხადია, „წარმატებულმა“ მშენებელმა მთელი რიგი ვალდებულებები იკისრა, მათ შორის, პროექტის განხორციელებისთვის საჭირო 600 მილიონი დოლარის ინვესტიციის მოზიდვის ვალდებულებაც. როგორც ჩანს, ბოლოს იმდენად გაეხსნათ მადა, რომ სრულიად წარმოუდგენელი „აფერა“ დაგეგმესო.

გავიხსენოთ პრემიერყოფილი კვირიკაშვილის „პროგრესულობის“ ამბავი, ადამიანს შეიძლება დაგავიწყდეს, მაგრამ ბეჭდურ და ელექტრონულ პრესას არაფერი „ავიწყდება“, კვირიკაშვილსაც „გაუხსენეს“ ეკონომიკის ესტონურ მოდელზე გადასვლაზე რომ დაიწყო საუბარი. იმ პროცესში ერთი უპრეცედენტო საკითხიც განიხილებოდა — ესტონური მოდელის საბანკო-საფინანსო სექტორზე გავრცელებაო. რითაც „გაწონასწორებულს“ მოუნდომებია „თიბისი ბანკისთვის“ გაეუქმებინათ მოგების გადასახადი. სწორედ, ამ გზით ფიქრობდა ეს ტანდემი იმ 600 მლნ დოლარის მოპოვებას, რომლის მოზიდვის ვალდებულებაც აიღო ხაზარაძემ, ანაკლიის მენეჯმენტში შესვლის სანაცვლოდ. მათ არავითარი სხვა, რეალურ ინვესტორზე გაკეთებული გათვლა არ გააჩნდათ. ეს იყო უპრეცედენტო მასშტაბის თაღლითური სქემა, კლასიკური ოლიგარქიული მეთოდი, როდესაც რეფორმის საფარქვეშ, ხელისუფლებასთან შეზრდილი ბიზნესმენის ფინანსური ვალდებულებების გასტუმრება ხდებაო. ასე რომ, ბატონ კვირიკაშვილსაც უცდია, ხაზარაძის ნაკისრი ვალდებულებები ბიუჯეტის, ანუ ხალხის ხარჯზე გაესტუმრებინა. საბედნიეროდ, ხაზარაძე-კვირიკაშვილის ეს გეგმა დროულად გაიშიფრა და ესტონური მოდელის საბანკო-საფინანსო სექტორზე გავრცელება არ გამოუვიდათო. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, რომ სახელმწიფო უდგებოდა რატომღაც გარანტად, კერძო კომპანი-

ების მიერ აღებულ კრედიტებს, მათ შორის, უცხოურს, ეს კარგად მახსოვს. არქივს თუ „ამოვქექავ“, სხვა „წარმატებულ“ კომპანიებსაც ვიპოვი, მაგრამ ზეპირად მახსოვს კოკა-კოლას ჩამომსხმელ თემურ ჭყონიას ხუთმილიონდოლარიანი თურქული კრედიტი, რომლის გადახდის გარანტადაც, შევარდნაძემ რატომღაც ისევ სახელმწიფო დააყენა.

დავუბრუნდეთ კვირიკაშვილი-ხაზარაძის „საგმირო“ საქმეებს, „წარმატებულმა“ რომ დაინახა, მის საერთაშორისო მასშტაბის „აფერას“ რეალური საფრთხე ემუქრებოდა, ვერ შეძლებდა 600 მლნ-ის მოზიდვას და შესაძლოა, ლეგიტიმური პრეტენზიები წარმოშობილიყო მის წინააღმდეგ, მოხდა გაუგონარი რამ. ხაზარაძემ კვირიკაშვილის მეშვეობით, „სათადარიგო გეგმა“ აამოქმედა და დავდექით სრულიად არანორმალური მოვლენის წინაშეო. ანაკლიის ბიზნესპროექტი, ქვეყნის ახალ კონსტიტუციაში ერთ-ერთ პრიორიტეტად ჩაწერილა, რის გამოც, სახელმწიფოს დაკისრებია ვალდებულება, ყველანაირად შეუწყოს ხელი ამ (რეალურად შესაძლო წამგებიან) პროექტს. ის ხომ არ გვაკლდა, ადგილობრივი ფსევდოლიბერალების, რაშიც განსაკუთრებით მეორე „გაწონასწორებული“, ნულოვანრეიტინგიანი რესპი უსუფაშვილი აქტიურობდა, კონსტიტუციაში პრიორიტეტად რომ ჩაგვიწერეს, საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში (ნატო) გაწევრიანება, რომ ანაკლიის პროექტიც კონსტიტუციურად პრიორიტეტული ყოფილა. ან ნატოში გაწევრება რატომ უნდა ეწეროს კონსტიტუციაში და მით უმეტეს ანაკლიის პროექტი, მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, შეიძლება ამ ორ საკითხს ერთნაირი მნიშვნელობა მიანიჭო?! ორი წლის წინ თუ ვალდებული იყო სახელმწიფო, ყველაფერი გაეკეთებინა ანაკლიის პროექტის განსახორციელებლად და ხაზარაძე ძველებურად ცდილობდა აქედან სარგებელი მიეღო, დღესაც გვაქვს ეს ვალდებულება? ხაზარაძეს ბიუჯეტის ხარჯზე თავისი 600-მილიონიანი ვალდებულების შესრულება რომ არ გამოუვიდა, რაც პრაქტიკულად აღიარა კიდეც კონსორციუმის მიერ გამოქვეყნებულ წერილში, დღეს ცდილობს ინვესტიციის მოზიდვა კვლავ სახელმწიფოს ხარჯზე შეძლოსო. ეს გაზულუქებული არსება, რომელსაც უამრავი ადამიანის უსახლკაროდ დატოვების ცოდვა ადევს, ნაკისრი ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ, ხელისუფლებისგან ითხოვდა გარანტიას.

ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ კვირიკაშვილის „წარმატებულმა“ ძმაკაცმა არ იცოდა, რომ ასეთ გარანტიას ვერავინ მისცემდა? ზუსტად ახდა ჭკუასაკითხავი მეცნიერის ორი წლის წინანდელი პროგნოზი, ხაზარაძემ ეს ყველაფერი კარგად იცის, უბრალოდ, ეს მისი მხრიდან მომავალში გამოყენებული იქნება ხელისუფლების გულგრილობაში დასადანაშაულებლად და თავისი თავის არა თაღლითად, არამედ მსხვერპლად წარმოსაჩენადო. ხაზარაძემ კვირიკაშვილის პრემიერობისას რასაც ვერ მიაღწია, იმ მიზნის მიღწევას ახლა მის მიერ დაფინანსებული „კრიკუნების“ მეშვეობით ცდილობსო და ამის ნათელ მაგალითად უსუფაშვილის თანამეცხედ-

რის, ასევე ნულოვანი რეიტინგის მქონე თინა ხიდაშელის განცხადება მოყავს, რომელიც ბედის ირონიით, თავდაცვის მინისტრადაც დაგვინიშნეს ოკეანისგაღმელმა „მეგობრებმა“. ბუშლატაწამოსხმულმა, „ჯექსონებიანმა“ თინა-ნამინისტრალმა ბიძინა ივანიშვილს მოუწოდა, შეასრულოს ხაზარაძის მიერ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულება. ეგ 600 მილიონი დოლარი ქველმოქმედების სახით დახარჯოს ანაკლიის პორტის განვითარებაზეო, ოღონდ ერთი უცნაური პირობით, ბიძინა ივანიშვილის ფულით მოგება თურმე ხაზარაძემ უნდა მიიღოს. თინათინ მინისტრობიდან დაპანღურებულო, ეგ როგორ, აღარ უშლიან? ეგ აზრი როდის გაგიჩნდა, შენი „მეორენახევარი“ უსუფაშვილი ხაზარაძის „ლელოს“ რომ „შეერწყა“, თუ მანამდეც გაწუხებდა?

და ბოლოს, ძნელია არ დაეთანხმო იმ საღად მოაზროვნე ადამიანს, რომელიც აცხადებდა, რომ მარტივი მისახვედრია, რა მასშტაბის თაღლითური სქემები დაალაგა ხაზარაძემ ანაკლიის პროექტთან დაკავშირებით, რამხელა გავლენა ჰქონდა მას ყოფილ პრემიერ-მინისტრზე და როგორ იყენებდა ამ უკანასკნელის პოლიტიკურ გავლენას, საკუთარი ფინანსური ინტერესებისთვის. ხაზარაძე, რომელმაც გარკვეული მანქანებით ხელში ჩაიგდო ბორჯომის წყლები და ულუკმაპუროდ დატოვა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელმაც მერე რუსებს მიყიდა ამ წყლების მოპოვების ლიცენზია, პრორუსულობაში მოქმედ ხელისუფლებას სდებს ბრალს. თურმე პრორუსულებმა შეუშალეს ხელი ანაკლიის პროექტის განხორციელებაში, არადა ამ ფულის საშოვნელად მოწანწალე „აღმშენებელს“, ვითომდა ყაზახური კომპანია შემოყავდა ე.წ. ინვესტორად, რომელთა უკან, რეალურად რუსული კომპანია იდგა. ამერიკელები იყვნენ ჩვენი კონსორციუმის პარტნიორებიო, რომ აცხადებს ეს „აღმშენებელი“ და თურმე ღრმაწყლოვანი პორტი ამერიკის თუ ნატოს სამხედრო ინტერესებს უნდა მოემსახუროს და აქაც აიყოლიეს გულუბრყვილო თუ გაქნილი ურა-პატრიოტები. თქვენ, ბიძია, სად დალივლივებთ, რუსეთი დაუშვებს იმას, რომ ანაკლიაში წყალქვეშა სამხედრო ბაზა მოგაწყობინოთ? არ გეყოთ აქამდე რაც დავკარგეთ ის ტერიტორიები და ახალგაზრდები, რომელზეც იყო დამოკიდებული ქართული გენოფონდი, საერთოდ, უნდა წაიშალოს საქართველო მსოფლიო რუკიდან, რახან თქვენს ბოდიში მომითხოვია და მუცლის ამოყორვას საშველი არ დაადგა? ჭკუას მოუხმეთ და თავი დაანებეთ ბრტყელ-ბრტყელი ვითომდა დემოკრატიული და პატრიოტული განცხადებების კეთებას, სანამ მოთმინების ფიალა ავსებულმა ხალხმა მართლა არ „ჩაგაბეტონათ“ იმ პოლიტიკურ სანაგვეზე, რომლის ბინადარნიც ისედაც ხართ კაი ხანია!

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— მაინტერესებს განზრახ მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებები.

— საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი მთლიანად გასცემს პასუხს თქვენს შეკითხვას. კონკრეტულად:

მუხლი 109. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში

1. განზრახ მკვლელობა:

ა) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;

ბ) ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

გ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. განზრახ მკვლელობა:

ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა;

ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა;

გ) ხულიგნური ქვენა გრძნობით;

დ) რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;

დ[1]) გენდერის ნიშნით;

ე) ჯგუფურად;

ვ) ოჯახის წევრის მიმართ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

3. განზრახ მკვლელობა:

ა) ორი ან მეტი პირისა;

ბ) განსაკუთრებული სისასტიკით;

გ) ანგარებით ან შეკვეთით;

დ) მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით;

ე) არაერთგზის (გარდა ამ კოდექსის 110-ე-114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა);

ვ) მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

შენიშვნა: ამ კოდექსში ახლო ნათესავად მიიჩნევა: მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

* * *

— სამოქალაქო კანონებს აქვთ თუ არა უკუქცევითი ძალა?

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

* * *

— შეიძლება თუ არა, შრომითი ხელშეკრულების დადებისას გათვალისწინებული იქნას გარკვეული შეზღუდვები?

— დიახ, შეიძლება.

დაგიკონკრეტებთ შესაბამის სამართლებრივ ნორმებზე მითითებით:

სამოქალაქო კოდექსის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს დასაქმებულის ვალდებულება, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა, კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ. ეს შეზღუდვა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში, იმ პირობით, რომ ამგვარი შეზღუდვის მოქმედების პერიოდში დამსაქმებელი დასაქმებულს გადაუხდის ანაზღაურებას არანაკლებ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას არსებული ოდენობით.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ შეიძლება დაუწესდეთ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში მოღვაწე პირებს.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მოთხოვნების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქმნის თუ არა გიორგი გახარია ახალ პარტიას და მიდის თუ არა კახი კალაძე „ქართული ოცნებიდან“?

სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ხმებს თუ დავიჯერებთ, გიორგი გახარია ახალ პარტიას ქმნის, ხოლო კახი კალაძე სულ მალე „ქართულ ოცნებას“ დატოვებს და ისიც ცალკე პარტიას დააფუძნებს.

ასე რომ, თუ ამ ხმებს სარწმუნოდ მივიჩნევთ, ქართული პოლიტიკური პარტიების საკმაოდ გრძელ სიას ორი ახალი პარტია დაემატება.

მართალია, კახი კალაძე ამ ხმებს ჭორსა და სიცრუეს ეძახის და დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ არც „ქართული ოცნებიდან“ არ აპირებს წასვლას და არც პოლიტიკური ორგანიზაციის დაარსება აქვს განზრახული, თუმცა ამ დროს არ შეიძლება არ გაგახსენდეს ყოფილი პრემიერი გიორგი გახარია, რომელიც კალაძეზე უფრო მეტი კატეგორიულობით ამტკიცებდა, რომ არსადაც არ მიდიოდა, მაგრამ წავიდა და წავიდა ისე მოულოდნელად, რომ მის თაყვანისმცემელთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი არმია ისეთ შოკში ჩააგდო, საიდანაც დღემდე ვერ გამოსულან.

როგორც გაირკვა, გახარიას თაყვანისმცემელთა უმრავლესობას ქალბატონები შეადგენდნენ, რომლებმაც ძალიან მტკივნეულად და დრამატულად განიცადეს თავიანთი კუმირის უეცარი წასვლა პოლიტიკიდან.

ერთმა ქალბატონმა ისიც კი დაწერა ფეისბუკში, გახარია რომ წავიდა, ასე მეგონა, თითქოს ჩემი ქმარი წასულიყოს სახლიდანო.

გახარიას წასვლით გამოწვეული ეს უცნაური განცდა, როგორც ჩანს, ბევრ ქალბატონს გაუჩნდა საქართველოში, რომლებიც ახლა კოლექტიურად ცდილობენ, გაქცეული „საერთო ქმარი“ სახლში დააბრუნონ და ამისთვის მზად არიან, პარტიაც კი შეუქმნან, რომელსაც, მათი გათვლით, გიორგი გახარია უნდა ჩაუდგეს სათავეში.

ამ განზრახვაში, ცხადია, ცუდი არაფერია, თუ თავად გახარია მოისურვებს პოლიტიკაში დაბრუნებას და იმ პოტენციალის და რესურსის ბოლომდე დახარჯვას და გამოყენებას, რომელიც მას ნამდვილად აქვს.

გახარია, უდავოდ, ნიჭიერი პოლიტიკოსია და დასანანი იქნება, თუ ქართულ პოლიტიკას ასეთი

პერსპერტიკული და გამოცდილი პოლიტიკოსი გამოაკლდება.

რაც შეეხება კახი კალაძეს, ხმები მისი „ქართული ოცნებიდან“ წასვლის შესახებ მოცემულ მომენტში, ვფიქრობ, რეალობას არ შეესაბამება, თუმცა მომავალში არაფერია გამორიცხული.

კახი კალაძე ნიჭიერი კაცი გამოდგა და თავისი ენერგიულობით, ქარიზმით, გამჭრიახობით დროის მცირე მონაკვეთში შეძლო იმ სკეპტიკოსთა ეჭვების გაფანტვა, რომლებიც მის შემოსვლას პოლიტიკაში ორჭოფულად უყურებდნენ.

ის გამოკვეთილი ლიდერია და ყველა თვისება აქვს იმისთვის, რომ საინტერესო პოლიტიკური ორგანიზაცია შექმნას და თანამოაზრეთა სერიოზული გუნდი შემოიკრიბოს.

„ქართულმა ოცნებამ“ ამ ცხრა წლის განმავლობაში თავის რიგებში რამდენიმე პერსპექტიული პოლიტიკური ფიგურა გამოკვეთა.

როცა გუნდში რამდენიმე თანაბარი ძალის და შესაძლებლობების ლიდერი იყრის თავს, ეს ყოველთვის იწვევს ჯანსაღ შიდა კონკურენციას და იმის სურვილს ამ ფიგურების მხრიდან, რომ მათ ძალები დამოუკიდებლად მოსინჯონ.

ასე რომ, ვერავითარ ტრაგედიას ვერ ვხედავ იმაში, რომ დროთა განმავლობაში „ქართული ოცნების“ ბაზაზე შეიძლება რამდენიმე ახალი პარტია გაჩნდეს საინტერესო ლიდერებით და საინტერესო იდეებით.

თუ „ნაციონალურ მოძრაობას“ და სხვა ოპოზიციურ პარტიებს ჰგონიათ, რომ ამით „ქართული ოცნება“ დაიშლება და გამოთავისუფლებულ სივრცეს ისინი დაიკავებენ, ძალიან ღრმად ცდებიან.

ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ ამით კი არ დასუსტდება, კიდევ უფრო გაძლიერდება და მისი მოქმედებები მეტ პრინციპულობას, მიზანდასახულობას და მოტივაციას შეიძენს.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ მას არ ჰყავს ღირსეული პოლიტიკური კონკურენტი, რაც მის განვითარებას წლებია აფერხებს.

„ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკურ კონკურენტად და ოპონენტად ვერ ჩაითვლება, რადგან ის, რასაც „ნაცმოძრაობა“ აკეთებს, შორს დგას პოლიტიკისგან — ეს უფრო ავანტურა და პროვოკაციაზე აგებული ქმედებებია, რომელიც, მათი იდეოლოგიური წინაპრების, ბოლშევიკების სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნის წინაღმდეგ მიმართულ მავნებლობასა და ძირგამომთხრელ საქმიანობაში გადადის.

დავუშვათ, მართლაც რომ შექმნან პოლიტიკური პარტიები გიორგი გახარიამ და კახი კალაძემ, ეს იქნება ძალიან სასარგებლო და უაღრესად კარგი საქმე ქართული პოლიტიკისთვის.

თუ ეს მოხდება, აი, მაშინ კი ნამდვილად დამთავრდება ნაციონალების და მათი სატელიტების ბოგინი ქართულ პოლიტიკაში, პოლიტიკური ველი კი, რომელიც დიდი ხანია ნაგავსაყრელად იქცა, ოცდაათი წლის განმავლობაში დახვავებული ნაგვისა და ბალასტისგან გაიწმინდება.

•

ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს რომ ვაკვირდები, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პროცესები, რომლებიც გვგონია, რომ თავისით, თვითდინებით ვითარდება, სინამდვილეში, ვიღაც ძალიან ჭკვიანი და, ამავე დროს, ქვეყნის გულშემატკივარი და კეთილისმყოფელი უხილავისგან იმართება.

ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ უცებ გაჩნდა სხვადასხვა საინტერესო ვერსიები, რომლებზე ადრე ვერც ვიფიქრებდით.

სწორედ ასეთ ვერსიებს მიეკუთვნება გახარიას და კალაძის მიერ პოლიტიკური პარტიების დაფუძნების შესაძლებლობის ალბათობა, რაც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ყოფნის დროს თითქმის გამორიცხული იყო.

ბიძინა ივანიშვილმა თავისი წასვლით პოლიტიკური სივრცე, პოლიტიკური ჰორიზონტი გახსნა ახალი პოლიტიკური ძალებისთვის და მან ეს შეგნებულად, მიზანმიმართულად გააკეთა, რითაც ქართულ პოლიტიკას განვითარების ახალი პერსპექტივა გაუჩნდა.

მიმომხილველი

განათლების სისტემა და დღევანდელი ქართული რეალობა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა „ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელმა მუდმივმოქმედმა კომისიამ“ პანდემიის გამო შეჩერებული სხდომები გაანახლა. 2021 წლის 25 თებერვალს პირველი სხდომა ჩატარა.

თემა: „განათლება როგორც გლობალური პრობლემა“; მომხსენებლები: ტარიელ ჩიგოგიძე, ეკა ჩიგოგიძე.

კომისიის თავმჯდომარემ ელიზბარ ჯაველიძემ დღეს საქართველოში არსებულ პრობლემებთან ერთად, მოკლედ მიმოიხილა განათლების პრობლემებიც. შემდეგ კი სიტყვა დაუთმო მომხსენებელს: ბ-ნ ტარიელ ჩიგოგიძეს.



ტარიელ ჩიგოგიძე

ბ-ნ ტარიელ ჩიგოგიძის განმარტებით, მათ ნაშრომში წარმოდგენილი სწავლების პრინციპულად ახალი მოდელი ემყარება ცხოვრებისეულ გამოცდილებას, დიდძალ სპეციალურ ლიტერატურას და მათი ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებულ კონცეპტუალურ პრინციპებს.

საინტერესოა მათ მიერ შემუშავებული განათლების სისტემა, რომელიც შედგება სამი ძირითადი ეტაპისაგან:

ა) დაწყებითი სწავლება;

ბ) ზოგადი ნიჭის დადაგენა;

გ) კონკრეტული სპეციალობის შერჩევა.

რადგანაც „განათლების“ არსებული სისტემის პრობლემები გლობალურია, ამიტომ „სხვასთან“ უცხოეთში განათლების ახალი პროგრესული სისტემის მოძიება უაზრობაა, ამის დასტურად კი, გამოდგება “საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიერ, საერთაშორისო საიტზე დეპონირებული – ტარიელ და ეკა ჩიგოგიძეების სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი“ განათლება როგორც გლობალური პრობლემა (კონცეპტუალური ესსე „აი ია“), 2019 წლის 7 დეკემბრით დათარიღებული „მოწმობა 7754“, რომლითაც დასტურდება აღნიშნული ნაშრომის საერთაშორისო პრიორიტეტულობა

იფიქრე, განსაჯე, გაისარჯე — სხვაგვარად ერი განწირულია.

სხდომას ესწრებოდნენ აკადემიკოსები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რამაზ ხუროძე, აკადემიკოსი რამაზ ხეცურიანი, აკადემიკოსები, პროფესორები, საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები: თინათინ სადუნიშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, ავთანდილ არაბული, ვალერი ასათიანი, თამაზ შილაკაძე, პაატაგიორგაძე, პარმენმარგველაშვილი, მერაბ ახობაძე, მინდია უგრეხელიძე, ანზორ თოთაძე, ომარ გოგიაშვილი, რომან რურუა, ვახტანგ ხარჩილავა და სხვები.

კომისის სხდომაზე გადაწყდა თანამოაზრეთა ჯგუფის შექმნა, ავთო არაბულის, პარმენ მარგველაშვილის და მერაბ ახობაძის შემადგენლობით, რომლებიც მოახდენენ წარმოდგენილი განათლების ახალი სისტემის დეტალურ ანალიზს, დასახავენ მოქმედების სტრატეგიას და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავიანთ ხედვას ხელისუფლებას გააცნობენ.

მანანა გარაყანიძე

„დემოკრატია ბრუნდება“, ყველანი თავშესაფარში!“

საპროტესტო აქციები დღევანდელი სამყაროს ქვეყნებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მთიან ყარაბაღში თვენახევრიანი საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ ჩვენს მეზობელ სომხეთში საპროტესტო აქციები არ შემწყდარა. მოსახლეობა მოქმედ ხელისუფლებას, კერძოდ, პრემიერ-მინისტრ ნიკოლ პაშინიანს ადანაშაულებს ყარაბაღში 8 რაიონის დაკარგვაში.

დღემდე ერევანში გამართულ აქციებზე მოსახლეობა ითხოვდა პაშინიანის გადადგომას. გასულ კვირას პრემიერ-მინისტრს უკვე შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა დაუპირისპირდა და გადადგომისკენ მოუწოდა. მიზეზი ნიკოლ პაშინიანის სატელევიზიო ინტერვიუ გახდა. საუბარში არცთუ კარგად მოიხსენია სამხედროები, რომლებიც მონაწილეობდნენ მთიან ყარაბაღში საბრძოლო მოქმედებებში. ექს-პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი თავის ინტერვიუებში განვიფრებული იყო, რატომ არ გამოიყენეს „ისკანდერის“ სარაკეტო კომპლექსები, რომლებიც სომხეთის შეიარაღებულ ძალებს აქვს. ამის პასუხად პაშინიანმა განაცხადა, კომპლექსის 10%-იც არ იყო ვარგისიო. სწორედ მისმა განცხადებამ გააღიზიანა სამხედროები. გენერალური შტაბის ხელმძღვანელების განცხადებით, პაშინიანს სურს ყარაბაღში წარუმატებლობის პასუხისმგებლობის თავიდან აცილება და ყველაფერს სამხედროებს აბრალებს.



გენერალური შტაბის პაშინიანის გადადგომის მოთხოვნას, მოსახლეობასთან ერთად მხარი პოლიტიკოსებმა ექს-პრეზიდენტებმაც დაუჭირეს. რობერტ ქოჩარიანმა მოსახლეობას მოუწოდა, მხარი სამხედროების მოთხოვნას დაუჭირონ. ამის გარდა, მისი დამხობა პირდაპირ მოითხოვა. მოქმედი პრეზიდენტის არმენ სარქისიანის განცხადებით, პაშინიანს არ შესწევს კრიზისულ სიტუაციაში ქვეყნის მართვის ძალა, ამიტომ უნდა დატოვოს თანამდებობა.

თავის მხრივ, ნიკოლ პაშინიანმა მისი გადადგომის მოთხოვნა ქვეყანაში სამხედრო გადატრიალების მცდელობად შეაფასა და თავის მომხრეებს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა. ერევნის ცენტრში პაშინიანის მომხრე-მოწინააღმდეგებს შორის მოხდა ხელჩართული ჩხუბი. პოლიცია ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს და ცდილობს, არ დაუშვას მოქალაქეებს შორის რაიმე სახით შეტაკება. სომხეთის ეკლესია და ეროვნული უშიშროების სამსახური დაპირისპირებულ მხარეებს სიმშვიდისა და დიალოგისკენ მოუწოდებენ. პაშინიანის შეფასება ერთია, მაგრამ შეიარაღებული ძალები იარაღით არ გასულან სომხეთის დედაქალაქში. მართალია, ერევნის ცაში დააფიქსირეს სამხედრო თვითმფრინავი და ვერტმფრენები, მაგრამ საფრენმა აპარატებმა მხოლოდ გადაიფრინეს, მეტი არაფერი. ამიტომ ძნელია სომხეთში მიმდინარე მოვლენების სამხედრო გადატრიალებად შეფასება.

სომხეთში განვითარებულმა მოვლენებმა საერთაშორისო საზოგადოება, განსაკუთრებით რუსეთი, გულგრილი არ დატოვა. სწორედ რუსეთის შუამავლობით შეწყდა მთიან ყარაბაღში საბრძოლო მოქმედებები. ამიტომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ტელეფონით ესაუბრნენ სომხეთის ხელისუფლების პირველ პირებს. უცნაური ფაქტი მოხდა — პუტინთან სატელეფონო საუბრის შემდეგ პაშინიანმა საჯაროდ განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტი მას უპირობოდ უჭერს მხარს. მისმა გამოსვლამ აშკარად გააღიზიანა რუსეთის მხარე. პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ და პრესსამსახურის უფროსმა დმიტრი პესკოვმა სასწრაფო წესით გაავრცელა კრემლის პოზიცია. მისი თქმით, პუტინი ყურადღებით აკვირდება სომხეთში მიმდინარე მოვლენებს, პაშინიანთან სატელეფონო საუბრისას მოუწოდა ვითარების დეესკალაციისკენ და დაპირისპირებულ მხარესთან დიალოგისკენ. რუსეთის თავდაცვის სმინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, სიცრუეა, რომ „ისკანდერის“ სარაკეტო კომპლექსი უვარგისი ყო, რადგან მთიან ყარაბაღში საერთოდ არ გამოუყენებიათ და დღემდე საწყობში აქვთ შენახული. საერთოდაც, „ისკანდერის“ სარაკეტო დანადგარები ერთ-ერთი საუკეტესოა მსოფლიოში, რასაც ნატოს ექსპერტებიც აღიარებენ. „...მთიან ყარაბაღში ომის შემდეგ ბევრს ვფიქრობდი, გადადგომაც დავაპირე, მაგრამ თანამდებობაზე ჩემი ნებით ხომ არ მოვსულვარ, ხალხმა ამირჩია“, — თქვა თავის ინტერვიუში ნიკოლ პაშინიანმა.

თავის მხრივ, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა თანამდებობიდან გაათავისუფლა გენერალური შტაბის უფროსი და მისი მოადგილე. ბრძანება დასამტკიცებლად პრეზიდენტ არმენ სარქისიანს წარუდგინა. ამასთან, დაემუქრა, თუ არ გადააყენებს თანამდებობიდან გენშტაბის ხელმძღვანელებს, სამხედრო გადატრიალების თანამონაწილედ დაასახელებს. პრეზიდენტმა ბრძანებაზე ხელი არ მოაწერა და უკან დაუბრუნა. თუმცა პაშინიანმა ხელმეორედ მოითხოვა მათი თანამდებობიდან გათავისუფლება. სომხეთში პოლიტიკური კრიზისი გრძელდება, რით დასრულდება ის, უცნობია. პაშინიანის მხარდამჭერი საერთაშორისო არენაზე არავინ გამოჩენილა. სავარაუდოდ, რუსეთის დახმარების იმედი ჰქონდა, მაგრამ იქაური ხელისუფლება სომხეთის შინაურ საქმეებში ჩარევას ჯერ არ აპირებს და მოვლენებს შორიდან აკვირდება.

ორშაბათს, 1 მარტს ოპოზიცია მთავრობის სახლში შეიჭრა, სადაც განთავსებულია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები. პაშინიანმა ჩვეულებას არ ულალატა და დასახმარებლად მხარდამჭერებს კვლავ ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა.

მსოფლიოს საზოგადოების ყურადღების ცენტრში კვლავ მოექცა არაბი ჟურნალისტის ჯამალ ჰაშუღის მკვლელობა. ჰაშუღი თურქეთში ცხოვრობდა და ამერიკულ პრესაში მუშაობდა. 2018 წელს იგი სტამბოლში საუდის არაბეთის საკონსულოში ქორწინებისთვის საჭირო საბუთების მისაღებად მივიდა. ამის შემდეგ ჯამალ ჰაშუღი აღარავის უნახავს — არც ცოცხალი და არც მკვდარი. გაუჩინარების შემდეგ განგაში მისმა საცოლემ ატეხა. მოგვიანებით ჟურნალისტი გარდაცვლილად აღიარეს, მაგრამ გვამი დღემდე ვერ იპოვეს. გავრცელებული ინფორმაციით, გვამი დაანაწევრეს და ისე გაიტანეს საკონსულოს შენობიდან. საქმესთან დაკავშირებით 5 პირს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა საუდის არაბეთის სასამართლომ, რომლებსაც მოგვიანებით 20–20 წლით პატიმრობით შეუცვალეს.

ჟურნალისტის მკვლელობას მის საქმიანობას უკავშირებდნენ. ჰაშუღი საუდის არაბეთის ხელისუფლებაზე კრიტიკულ წერილებს აქვეყნებდა ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა გამოცემებში. მკვლელობის შეკვეთას თავიდანვე მეფის მემკვიდრეს მუჰამედ ბენ სალმანს აბრალებდნენ, თუმცა მტკიცებულება ვერ წარუდგინეს. გავრცელებული ინფორმაციით, ყოველივე იცოდა იმჟამინდელმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, მაგრამ დუმდა. გასაკვირი არც არის, რადგან დონალდ ტრამპმა თავისი ერთ-ერთი პირველი ოფიციალური ვიზიტი 2017 წელს სწორედ საუდის არაბეთში განახორციელა, არაბულ ქვეყანასთან მრავალმილიარდიანი კონტრაქტი გააფორმა. ექსპერტების შეფასებით, ეს გარემოება გახდა მისი დუმილის მიზეზი. ისიც სათქმელია, რომ გახმაურებული საქმის შემდეგ სალმანი რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში იმყოფებოდა ვიზიტით და გულთბილადაც მიიღეს.

პირველი საბრძოლო ბრძანება გასცა პრეზიდენტის რანგში გასულ კვირას ჯო ბაიდენმა. აშშ-ის ავიაციამ საჰაერო შეტევა განახორციელა სირიაში. პენტაგონის მაღალჩინოსნების განცხადებით, დაიბომბა ირანელებთან დახლოებული ექსტრემისტების ბაზა. მსხვერპლსა და ზარალზე არაფერს ამბობენ. საინტერესიოა ის გარემოება, რომ სირიაში განთავსებული რუსეთის ბაზის ხელმძღვანელობა შეტევამდე 5 წუთით ადრე გააფრთხილა აშშ-მ. შეტევის შემდეგ ჯო ბაიდენმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „... დაუსჯელი არავინ დარჩება. ამიტომ ყველანი იყავით ფრთხილად“.

განხორციელებულ შეტევაზე რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ გაღიზიანებას ვერ მალავენ იმის გამო, რომ შეტევამდე მხოლოდ 5 წუთით ადრე გააფრთხილეს. სამხედროების ნაცვლად შეფასება რუსეთის დუმის დეპუტატმა კონსტანტინ კოსაჩოვმა გააკეთა. მისი თქმით, მსგავსმა გაუფრთხილებელმა მოქმედებამ, შესაძლოა, მხარეები საომარ მდგომარეობამდე მიიყვანოს, რაც დააზარალებს ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებების დაწყების მცდელობას. სირიაში განხორციელებული შეტევა ექსპერტებმა ირანის, რუსეთის, ეგვიპტის და სხვა ქვეყნების ერთგვარ გაფრთხილებად შეაფასეს. ფრანგულმა გაზეთმა „პრეზენტმა“ შეტევის შემდეგ დაწერა: „დემოკრატია ბრუნდება! ყველანი თავშესაფარში!“

ერთი თვის შემდეგ აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი პირველად გამოჩნდა ფართო საზოგადოებაში. რესპუბლიკურმა პარტიამ ოფიციალურად მიიწვია ყოველწლიურ ტრადიციულ ყრილობაზე. პარტიის ის წევრები, რომლებმაც ტრამპის წინააღმდეგ გაილაშქრეს, ღონისძიებას არ ესწრებოდნენ. იყო მოსაზრება, თითქოს ტრამპი ახალი პარტიის დაარსებას აპირებდა, მაგრამ ყრილობაზე მან ეს უარყო. ტრამპის განცხადებით, ახალი პარტია დაასუსტებს რესპუბლიკურ პარტიას, რაც დაუშვებელია.

ქართული რეაქციული ე.წ. ოპოზიცია კი გულმხურვალედ უჭერს მხარს რუს ადამიანს, რომელიც რადიკალური ნაციონალიზმის გამო გარიცხეს პარტია „იაბლოკოს“ რიგებიდან — პარტიიდან, რომელსაც თვით რუსეთშიც კი ექსტრემისტულად აღიარებენ; ადამიანს, რომელიც ქართველებს „გრიზუნებს“ (მღრნელებს) გვიწოდებდა, რომელსაც გასულ კვირას „ემნისტი ინტერნეშნლმა“ სინდისის პატიმრის სტატუსი მოუხსნა და ეს გახლავთ ჩვეულებრივი კრიმინალი ალექსანდრ ნავალნი. ასეთი თვითმარქვია, ვითომ პოლიტიკოსების იმედით არის აქაური ოპოზიცია, რომელიც თითქოს რუსეთის ოკუპაციას აპროტესტებს.

გია ბურდული
551 71 27 07

გრაალის მცველის დამფრთხალი ჭოჭინა

პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ნოველა

ნიკანორის ზურგს უკან რკინის კარი ღრჭიალით მიიხურა. საკანში თითქოს ბნელოდა და არც ბნელოდა, პატარა სარკმლიდან მკრთალი შუქი შემოდიოდა. ნიკანორი ოთხ კედელში არასდროს მჯდარა. გაახსენდა, ბავშვობაში მამა ანზორი როგორ ეუბნებოდა ხოლმე: აბა, ყვავებს ვინ დაიჭერს, კარგო, გალიაში ბულბულები ზიანო. მაშინ კარგად არ ესმოდა, ან ყვავები რატომ არ უნდა დაეჭირათ, ან კიდევ გალიაში ბულბულები რატომ ისხდნენ. ერთხელ ჭოჭინა დაუფრთხა, კედელს შეასკდა, უცებ გონება გაეხსნასავით, თითქოს გაიელვა და მიხვდა, რატომ არ იჭერენ ყვავებს. იმ საღამოს სახლში დაბრუნებულ მამას მუხლზე ააცოცდა, ანზორმა თავზე ხელი გადაუსვა და მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხა: შვილო, გამომეტყველებაზე გატყობ, რაღაც ჭკვიანურის თქმა გინდაო. ნიკანორიც მრავალმნიშვნელოვნად მიაჩერდა მამას, ცხვირიდან

თითი გამოიღო და ტიტინით მიუგო, ყვავებს იმიტომ არ იჭერენ, რომ გალიაში ბულბულები უნდა ისხდნენ, ბულბულები და ყვავები ერთმანეთს ვერა ჰგუობენო. ანზორი გაოცდა, შემდეგ გაოგნდა, ეგეთ ჭკვიანურობას ნამეტნავად ადრეულ ასაკში არ ელოდა. მიხვდა, ნიკანორი არ იყო ჩვეულებრივი ყმაწვილი, მას წინ დიდი და მარვალმნიშვნელოვანი მომავალი ედო. განა ჭოჭინის ასაკის სხვა ბაღანეს შეუძლია, ყვავი და ბულბული ერთმანეთისგან განასხვავოს? აი, ნიკანორს კი შეეძლო. ამიტომაც აღნიშნავდა ხოლმე ანზორი ყველგან ხაზგასმით, ჩემი შვილი დიდი კაცი უნდა გამოვიდესო. ზოგიერთი ურწმუნო თომა ირონიულად ჩაიცინებდა ხოლმე, დიდი კაცი არა, იხვის ტოლმაო, ან ნეხვის ტოლმაო, ან ბროწლი ტოლმაო, ან სკლინტის ტოლმაო. თუმცა, აჰა, ხომ გამართლდა მამის გულის მგრძნობელობა? შვილო, ნიკურტნიკ (ასე ეძახდა ნამეტნავი სიყვარულის გამო), შენ უკვე გენიოსი ხარ, ეს რაღაც განსაკუთრებულობაა, ამას ჩვეულებრივ ოჯახში ვერ ისწავლი, ეს დედის მუცლიდან დაყოლილი ნიჭიაო. შვილო, მეტსაც გეტყვიო, შენ უკვე ეროვნული მოღვაწე ხარო, ქართველი ერი შენი თითის დაქნევას ელოდებაო. ანზორი საკუთარ შვილში ასეთ მეხისებურ გარდატეხას არ ელოდა, ვერ წარმოიდგენდა მსგავს ნახტომს ადამიანის ცხოვრებაში.

- გამარჯობა, ნიკანორ, მოხვედი?

- ვინ ხარ?

- ჰა, ჰა, ჰა... ვერ მიცანი?

- ვერ გიცანი!

- მე შენ ვარ.

- მე ხარ?

- ჰო, შენ ვარ, აღარ მოგბეზრდა ამდენი ტინგიცობა?

- ვერ გხედავ! — ამოიხრიალა ნიკანორმა.

- სამაგიეროდ მე გხედავ, — მიუგო ქირქილით ხმამ.

- ბიძინა ხარ?

- რა ბიძინა, შე ჩემა?!

- ააა, ღარიბაშვილი ხარ... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ორივენი ერთნი არა ხართ? ჰმ... მაინც დამიჭირეთ, ხომ? არ გამოგივათ. მთელი ცივილიზებული სამყარო ფეხებზე დადგება, ალყაში მოგაქცევთ, სანქციებს დაგიწესებთ, ფულებს წაგართმევთ!

- ნიკანორ, მე შენ ვარ, შენი ბავშვობა ვარ!

— ჩემი ბავშვობა? — მუხლებზე დაეშვა ნიკანორი.

- ჰო, შენი ბავშვობა... მე მაშინ გავჩნდი, ჭოჭინა რომ დაგიფრთხა, გახსოვს?

- მახსოვს... იმ დღეს თავი კედელს მივარტყი და ბევრი რამე შეიცვალა, მაშინ მივხვდი, რომ გალიაში მხოლოდ ბულბულები ზიან, ფაქტობრივად ეხლა მეც ბულბული ვარ.

- ნიკანორ, მეგონა, გაიზრდებოდი, მაგრამ შენ ისევ მამაშენისებურს უბერამ, მაგ კაცმა გაგაფუჭა.

- რას ჰქვია, გამაფუჭა, როგორ ბედავ, ის ხომ ეროვნული მოძრაობის დამაარსებლის მამაა?!

- აბა ეროვნული მოძრაობა?!

- აი, აქ არი, თავში, — შემოიკრა კეფაში სილაქი ნიკანორმა.

- კეფაში ეროვნულ მოძრაობას რა უნდა, ბიჭო?

- დიახ, როგორც დიდმა ანზორმა ბრძანა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა სწორედაც რომ კეფაშია!

- გატყუებენ!

- ვინ, მამა ბატონი მატყუებს?!

- ყველა გატყუებს!

- ეხლა არ მითხრა, მიშაცო, არ მითხრა, თორემ დავიმხობ ამ საკანს თავზე!

- შენ ყველა გატყუებს-მეთქი!

- არ მჯერა, რომ შენ მე ხარ, არ მჯერა!

- იმიტომ, რომ უჩინარი ვარ, სულ თან დაგყვები, არასდროს მიცდია შენთან დალაპარაკება, აზრიც არ ჰქონდა, რადგან მუდამ მამაშენის ჭკუაზე დადიოდი. მე გამოგეყავი, წავედი, გაგცილდი, მიგატოვე... ეხლა კი აღარ გამოდიოდა, როგორც კი პოლიციელები მოგიახლოვდნენ, ეგრევე გამოვქუსლე საპყრობილისკენ და შემოვიკეტე, რათა აქ დაგხვედროდი.

- რატომ მოიქეცი ასე? — ნიკანორს ცრემლები მოადგა თვალებზე.

— შემეცოდე.

- რა მჭირს შესაცოდი, მე ხომ გმირი ვარ?

- დარწმუნებული ხარ?

- რა თქმა უნდა... ჯერ ერთი, ამას შინაგანი ორგანოებითა ვგრძნობ და მეორეც — მამა ბატონმა მითხრა, რომ მე გმირად ვარ დაბადებული, მას არაფერი ეშლება, მისი სიტყვა კანონია, აღარ უნდა ლაი-ლაი!

— შინაგანი ორგანოები რას გეუბნება?

— შიგნეულობა მიცახცახებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ძალიან დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. ბიძინა ივანიშვილი დაემხობა და მოვალთ ჩვენ!

- მერე?

- რაღა მერე?

- ჰო, რა იქნება შემდეგ?

- იქნება სიყვარული, სიხარული, გაგება, დემოკრატია, ფაქიზი გრძნობების ზეიმი, აღტყინება, ფეიერვერკების სროლა, დუნდული, კუნკური, ქუნქური... ააააღსდექ, საქართველოვ, ააააღსდექ, ნაქარალო, ნაქორალო, გაგლეჯილო და გამოგლეჯილო. როგორც კი გავხდები ქვეყნის მხედართმთავარი, საქართველო გახდება იმაზე უფრო დიდი, იმაზე უფრო უშველებელი, ვიდრე დღეს არი!

- ტეროტორიულ მთლიანობას აღადგენ, ნიკანორ? ვფიქრობ, გაგიჭირდება.

- არავითარი ტერიტორიები... როგორც დიდი მოაზროვნე ივერი მელაშვილი ამბობს, რაც შენი არ არი, რანაირად არი შენი?

- ჰო, მაგაში გეთანხმები, რაც შენი არ არი, შენი არ არი, მაგრამ სხვანაირად საქართველოს როგორ გააფართოვებ?

- ეეე... მე ისეთი იდეები მაქ, ლენინი რომ ცოცხალი იყოს, თვალები შუბლზე აუვიდოდა. ისე, ხომ ვგავარ ლენინს?

- კი, ჰგავხარ, ბავშვობაში ისიც თმახუჭუჭა იყო შენსავით, შემდეგ კი... კარგი, მაგაზე არ იდარდო, ამ ცხოვრებაში ვინ არ გაქაჩლებულა?

- ყველა ქაჩალი გენიოსი იყო... უფრო სწორედ, ყველა გენიოსი ქაჩალი იყო.

- სწორედაც რომ ეგრეა, მაგრამ ქვეყნის ტერიტორიების გაზრდას რანაირად აპირებ?

- რანაირად და... სხვათა შორის, ამ იდეის გამჟღავნებას არ ვაპირებდი, სანამ მხედართმთავარი არ გავხდებოდი, მაგრამ რაკი შენ მე ხარ და მე შენ ვარ, გაგიმხელ.

- გისმენ დიდი ყურადღებითა და დაძაბულობით.

- ესე იგი... ჩვენ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით უნდა ვიყიდოთ რამდენიმე დიდი, უშველებელი, უზარმაზარი უთო. შეიძლება არც ვიყიდოთ და ჩვენვე დავამზადოთ, თუ გავხსნით ფაბრიკა-ქარხნებს.

- უთო?

- დიახ, ამ უთოებით მივდგებით და გავასწორებთ ჩვენს ტერიტორიებს, უფრო მეტად მთებსა და გორაკებს. მახსოვს, ბავშვობაში მამა ბატონი მეუბნებოდა ხოლმე, შვილო, საქართველო რომ დავაუთოვოთ, შეიძლება რუსეთზე დიდი გამოვიდესო, აღარაფერს ვამბობ სხვა ქვეყნებზეო, ყაზახეთზე, ტაჯიკეთზე, ყირგიზეთსა და გვატემალაზეო. ამას რომ იტყოდა ხოლმე, ხელში ყანწს შეათამაშებდა, ყანწის პირს ტუჩებთან მიიტანდა და კეთილშობილურ სითხეს რუყრუყით დასცლიდა. ეს იყო ხელოვნება, ეს იყო ბალეტი!

- ესე იგი, ჩვენი ტერიტორიები უნდა დავაუთოვოთ, ხომ?

- რა თქმა უნდა, ორი აზრი არ არსებობს... დამდგარან და ლაყბობენ, აფხაზეთიო, ცხინვალიო, ოსეთიო, სამაჩაბლოო, კოდორიო, სოჭიო, საინგილოო, გარეჯიო... გაიგეთ, რაც შენი არ არი, შენი არ არი!



- ჰო, ეგ მართალია, მაგრამ შეიძლება რაც შენი არ არი, ის შეიძლება შენი იყოს, ასეც ხდება ხოლმე.

- არ არსებობს!

- ნიკანორ, მოდი, სიტუაციას რუსეთის მხრიდან შევხედოთ, ის ტერიტორიები, რაც წაგვართვეს, იმათი არ არი და რაც იმათი არ არი, იმათი რანაირად იქნება?

- აი, აქ ისევ უნდა გავიხსენოთ დიდი ივერის ფორმულა, რაც შენი არ არი, შენი ვერ იქნება, ეს რუსეთსაც ეხება და თურქეთსაც.

- ნიკანორ, მე უნდა დაგტოვო.

- რატომ?

- გატყობ, მამაშენის რამაზე ხარ აწყობილი ძალიან მყარად!

- მე გმირი ვარ, გმირად დაბადებული და გმირად გაზრდილი, როდესაც ციხიდან გავალ, გავშიშვლდები, შიშველ სხეულზე თაფლს წავისვამ და პარლამენტის წინ დავჯდები. დაე, დამეხვიოს ბუზი, ფუტკარი, კრაზანა და კოღო, საერთოდ არ მადარდებს, ჩემთვის მთავარი თავისუფლებაა, გესმის?!

- მესმის და თან არ მესმის.

- აი, მიშას კი ყველაფერი ესმის!

ნიკანორმა რაღაც არაბუნებრივი სისინი გაიგონა, გეგონება ასისინმა გაიარა მის სიახლოვეს და გრაალის ბარძიმი ჩაატარა. ეს ნიკანორის იდუმალმა მგრძნობელობამ აღიქვა, თორემ ჩვეულებრივი მოკვდავისთვის ყოველივე შეუმჩნეველი იქნებოდა.

ნიკანორს მამა ბატონმა და მოძღვარმა მიხეილმა ორი მიზანი დაუსახეს — გრაალის თასის მოპოვება-დაცვა, შემდეგ კი ქვეყნის ტერიტორიების დაუთოვება. გრაალის ბარძიმიდან ღვინის წვეთების დალევა მხოლოდ სამ ადამიანს შეუძლია — ანზორს, თემურს (ალასანიას) და მიხეილს, თუ რამ დარჩება, ნიკანორსაც ერგება... ოღონდ ეს მაშინ, თუკი დარჩება. ამბობენ, ვინც გრაალის თასს შეეხება, იგი უკვდავად გადაიქცევაო. ახლა გასაგებია, რაში სჭირდებათ ის ალასას, ბალასას და მალასას?

ნიკანორი ნარზე ჩამოჯდა, ცოტა ხანს იყო ასე გაყურსული, შემდეგ თავი ჩაჰკიდა და იმ მოყმესავით აქვითინდა, წყლისა პირსა რომ იჯდა დაახლოებით მე-12 საუკუნეში.

(ნოველა დაწერილია რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით)

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61



იბერთა საიდუმლო

ვილჰელმ ჰუმბოლდტს ეკუთვნის თეორია პროტოიბერიული, მედიტერანული რასის შესახებ. რაც გულისხმობს იმას, რომ სამხრეთ ევროპის: პირენეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი მოსახლეობა იყო იბერიული. ძველ იბერთა გავრცელების არეალი ინდოეთსა და პალესტინასაც წვდებოდა. ჰუმბოლდტი მიუთითებდა იბერიული და სიცილიური სახელწოდებების მსგავსებაზე და აღნიშნავდა, რომ ესპანეთისკენ მიმავალ გზაზე იბერებმა შეიარეს სიცილიაში, იბერები სახლობდნენ სარდინიასა და კორსიკაზე, საიდანაც იძულებით გადასახლდნენ დასავლეთში.

სიმონ ჯანაშია მიიჩნევდა, რომ ყველა სხვა ხალხი ვისთვისაც აღმოსავლეთ ქართველნი ცნობილი იყვნენ ან არიან, ხმარობს ქართველთა ტომის



და ეროვნების აღსანიშნავად ტერმინს არა ''ქართველ''–ს, არამედ სხვა სახელწოდებებს, რომლებიც სათანადო ანალიზის შედეგად ყველა ერთ ფუძეზე დადის. ეს არის ''იბერი''. ეს სატომო სახელი შესულია ბერძნულ მწერლობაში და აღნიშნავს ქართველ ხალხს. რომაელებმა ქართველთა აღსანიშნავად დაამკვიდრეს სახელწოდება ჰ ი ბ ე რ ი (**Hiber**). უფრო დაწვრილებით, ლინგვისტური კუთხით, ამ საკითხზე მსჯელობს ნიკო მარი. მარი მიანიშნებს იბერ-იმერის ფონეტიკურ იგივეობაზე. იგი ''იბერ'' ფუძეს უკავშირებს სამხრეთ საქართველოს მხარის სპერ-ის სახელწოდებას... ირკვევა, რომ იბერ-ის უძველესი ფორმაა სასპე(ი)რ. ჯანაშიას აზრით ჰეროდოტეს სასპე(ი)რები მერმინდელი ბერძენი მწერლები იბერები არიან. ვინაიდან შემდგომში ისინი აღარ იხსენებიან. უსლარმა გამოთქვა აზრი, რომ ჰეროდოტეს სასპე(ი)რები, სამხრეთ საქართველოს სპერი ერთსა და იმავე ობიექტს განეკუთვნება. ეს იგივე ისტორიული იბერიაა. ჰეროდოტეს სასპერ-საბირი ახსნილია ქართული საიბეროთი. უსლარის(კავკასიოლოგი) აზრით, სასპირები მერმინდელი ქართველები არიან და ისინი ამიერკავკასიაში ცხოვრობდნენ. სპერ არაბულ-თურქული ფორმაა ისპირ. საგულისხმოა, რომ იბერ-იბერია სიტყვების თავდაპირველი ძირი უკავშირდება წყლის ცნებას. ასეთი დაკავშირება უცხო არ არის ევროპის იბერიისთვისაც. ამ ეთნონიმის წარმოშობა დაიყვანება წყლის კულტის არსებობასთან, რაც არსებობდა როგორც კავკასიაში, ისე პირინეის მთებში. ნიკო მარს ეკუთვნის ასევე „ იაფეტური ენების“ არსებობის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ქართველური ენები იაფეტური ენებია და გამომდინარე იქიდან, რომ „იაფეტიზმი“ მსოფლიოს ყველა ენაში დასტურდება, სწორედ ეს მიაჩნდა მეტყველების უძველეს საფეხურად. როდესაც ნიკო მარმა იაფეტური მოსახლეობა მთელ ხმელთაშუა ზღვისპირეთს მოსდო, ერთ კრებაზე ჰკითხეს: სად იწყება და სად თავდება ეს თქვენი იაფეტიდები?-მარმა უპასუხა: ჯერ მითხარით, სად იწყება და სად თავდება სიმრგვალე? არანაკლებ მნიშვნელოვანია ჯანაშიას მოსაზრება ამ საკითხზე. -''ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველს მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან უძველეს ხანაში (დაახლოებით 5000–6000 წლის წინათ) ქართველთა წინაპრები (ხეთურ-იბერიული გვარტომობის ხალხი) ცხოვრობდნენ წინა აზიაში (მესოპოტამიიდან კავკასიონამდე) ისინი აქედან გავრცელდნენ სამხრეთ ევროპასა (ბალკანეთის, აპენინისა და პირინეის ნახევარკუნძულებზე) და აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე. შემდეგ მათი საცხოვრისი შეიზღუდა მცირე აზიით. ქართველთა უშუალო წინაპრები არიან ხეთა-სუბარები, რომლებიც განფენილნი იყვნენ ჩრდილო მესოპოტამიიდან კავკასიონამდე. ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ქართველთა საცხოვრისის ცენტრი თანდათანობით ინაცვლებს ჩრდილოეთისკენ''.

არბუა დე ჟიუნბენვილს სწამს, რომ ფრანგთა უმეტესობა არის დავიწყებული ხალხების: იბერების და ლიგურების შთამამოვალნი. მიაჩნია, რომ ნამდვილი გალების დამპყრობთა კასტა სულ ოთხმოცი ათასი იყო, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა გახლდათ იბერიული ან ლიგურიული. „იბერიული რასა ჯიუტი, მომთმენი და შურისმაძიებელია, უყვარს განცალკევება და დამოუკიდებლობა. სპეციალისტების ყურადღებას იქცევს ის, რომ ძალზე მაღალი M სიხშირით (მაღალი სიხშირის 0 გენთან შერწყმით) დიდი მსგავსება შეინიშნება კავკასიის, სარდინია-კორსიკის თანამედროვე მოსახლეობას შორის (ქართველებში - 67%, სარდინიელებში -70%, კორსიკელებში - 65%) დღესაც ადვილი შესამჩნევია და აუხსნელია სიახლოვე კორსიკული და აღმოსავლეთ ქართულ პოლიფონიურ სიმღერებს შორის, ისევე, როგორც ერთმანეთს მიმსგავსებული ინტონაციები ტიროლურ და გურულ სიმღერებში. თანამედროვე გენეტიკური კვლევების შესაძლებლობა ამ თეორიებს საფუძველს უმყარებს. რაც იმას ნიშნავს, რომ წინა თაობის მეცნიერთა შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ გენეტიკოსს ბრაიენ საიქსს ეკუთვნის ნაშრომი, რომელიც წიგნად გამოიცა "კუნძულების სისხლი", სადაც ვკითხულობთ: „გენეტიკური მონაცემებით ირლანდიელი კელტების მნიშვნელოვანი პროცენტი როგორც მამაკაცის, ისე ქალის მხრიდან მოვიდნენ იბერიიდან იმ დროს, როცა ბრიტანეთის კუნძულებზე გაჩნდა მიწათმოქმედება. პიქტები წარმოადგენდნენ იბერებისა და მეზოლითურ ევროპელების ნარევ შთამომავლობას. მათ შექმნეს ბრიტანეთის კუნძულების პიქტო-კელტური სუბსტრუქტურის ძირი.“ საიქსი აიგივებს იბერიიდან მოსული მოსახლეობის ჰაპლოჯგუფს R16-თან, რომელსაც უწოდებს „ოისინის კლანს“. წარმოშობით ბრიტანელი, ამჟამად ამერიკელ მეცნიერ-გენეტიკოს სტივენ ოპენჰაიმერს ეკუთვნის წიგნი „ბრიტანელების წარმოშობის შესახებ“ – „ვერც ანგლოსაქსებმა და ვერც კელტებმა ვერ მოახდინეს მნიშვნელოვანი გავლენა ბრიტანეთის კუნძულების გენეტიკაზე და ბრიტანელთა წარმოშობა ძირითადად მომდინარეობს პალეოლითის დროიდან იბერთაგან.“

ოპენჰაიმერი იყენებს ბრიტანეთის კუნძულების მოსახლეობის გენეტიკურ მონაცემებს. – უცილობელია, რომ ბრიტანეთის კუნძულების, „მამრობითი“ გენეტიკურ სახეობათა უმეტესობა მომდინარეობს იბერიიდან: „ზოგიერთი მეცნიერი შენიშნავს წინაბერძნული ენის სიახლოვეს ქართველურ ენებთან და დასაშვებად მიაჩნია ნეოლითური ანატოლიის მოსახლეობის შესაძლო კავშირი ქართველურ სამყაროსთან“. უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული ენის პონტოური მეტყველება უმთავრესად წარმოადგენს ზანურ დიალექტს, ან უფრო სწორად, მისი კილოებსა და კავებს და ინარჩუნებს იბერიულ-კავკასიური ენებისთვის დამახასიათებელ ყველა აფრიკატს, რომელიც ამ მეტყველებაში ისე ჟღერს, როგორც ქართველურ ენებში. მის ლექსიკაში ბევრია ქართველური ძირის სიტყვები. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ბერძნები, რომლებიც ლაპარაკობენ ბერძნული ენის „პონტოურ-ლაზურ“ დიალექტებზე, ხმარობენ ქართველური ენებისთვის დამახასიათებელ სუფიქსებს.

ნიკო მარი წერდა: „გერმანული ენა გაუგებრობის გამოა მის უძველეს ნაწილებში ინდოევროპული ოჯახის ენებს მიკუთვნებული, რომ ძირითადი თავისებურებანი, როგორც გერმანულს, ისე გოთურს საერთო აქვთ იმავე კონკრეტულ კავკასიურ ენებთან, გერმანულს სვანურთან, გოთებს კი-მეგრულ ჭანურთან.“

პლუტარქეს მოწოდებული ინფორმაციით, რომი ან ბალკანეთიდან ლტოლვილ პელაზგებს, ან გადარჩენილ ტროელებს დაუარსებიათ, ანდა კოლხეთის მეფის აიეტის დის კირკესა და ოდისევსის ვაჟს რომანოსს. ჰესიოდეს,''თეოგონია'' გვამცნობს, რომ ჰელიოსის ასულ კირკეს ოდისევსისგან ეყოლა აგრიოსი, ლათინოსი და ტელეგონე, რომლებიც ტირსენების, იგივე ეტრუსკების წინაპრები და გამგებლები გამხდარან. ეგეოსური მოსახლეობის შავიზღვისპირეთისაკენ სწრაფვის ერთ-ერთი ყველაზე ადრეულ გამოხატულებას წარმოადგენს მითი არგონავტებზე. ამის ნათელი გამოვლინებაა კოლხეთის მეფის აიეტის მიერ თავისი სამკვიდროს-პელაზგური ეფირის (სოფელი კორინთა შიდა ქართლში) მიტოვება და კოლხეთის მიწისაკენ გამგზავრებაზე საუბარია ძვ.წ.მე-8 ს.ეპიკოსის ევმელოს კორინთელის, „კორინთიაში“.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

მარკიზა დე მენტენონი – საფრანგეთის არაოფიციალური დედოფალი

მადამ დე მენტენონი ცნობილია, როგორც საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XIV-ის ფავორიტი. ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ის საფრანგეთში ქალთა საერო განათლების ფუძემდებელია. ამ ქალბატონმა ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ გოგონებს განათლების მიღების შეძლებოდათ და ამის გამო ძლევამოსილ კათოლიკურ ეკლესიასაც კი დაუპირისპირდა. მეფე მისი სხვა ფავოროტის მადამ დე მონტესპანის საშუალებით გაიცნო. ვერაფრით წარმოიდგენდა მეფეზე უსაღვრო გავლენის მქონე მისი საყვარელი, რომ არც თუ ისე ლამაზი 25 წლის დ'ობინიეს ქვრივი, რომელიც მეფეს პრინცებისთვის ძიძად შესთავაზა, მის ადგილს დაიკავებდა.

ფრანსუაზა დ'ობინიე

დ'ობინიე ღარიბი თავადის ოჯახიდან იყო, რომელიც პროტესტანტულ ამბოხში ხშირი მონაწილეობისთვის განკვეთილიც იყო. ქალი ცდილობდა, არაფრით ყოფილიყო სხვებისგან გამორჩეული, მაგრამ ყოველთვის კეთილგანწყობილი და მოკრძალებული იყო. შესაძლოა, სწორედ ამით მიიპყრო ლუდოვიკოს ყურადღება, რომელსაც მობეზრებული ჰქონდა სამეფო კარის პათოსური და ხმაურიანი ქალბატონები.

ბავშვების მონახულებისას მონარქი ძალაუნებურად ხვდებოდა მათ ძიძას და დროთა განმავლობაში შეამჩნია, რომ მასთან საუბარი ძალიან სიამოვნებდა. ფრანსუაზა დ'ობინიე ყოველგვარ სათნოებით აღსავსე გახლდათ. როგორც ჭეშმარიტი ჰუგენოტი. მას საკუთარი ღირსების გრძნობა გააჩნდა და, რაც XVII საუკუნის ქალბატონებში დიდი იშვიათობა იყო — ფართო თვალსაწიერი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მეფემ პირველივე დღეებიდანვე იგრძნო მის მიმართ ლტოლვა, ათი წელი დასჭირდა, მიმხვდარიყო, რომ ეს ნამდვილი სიყვარული იყო. ლუდოვიკო ბავშვებთან მიდიოდა, მაგრამ დიდ დროს ატარებდა ძიძასთან საუბარში და ვიზიტები სულ უფრო ხანგრძლივი ხდებოდა.

ძნელია იმის თქმა, როდის გახდა მეფისა და ძიძის ურთიერთობა სერიოზული, მაგრამ მათი ნაცნობობიდან 15 წლის შემდეგ მეფემ ქალს მარკიზა დე მენტენონის წოდება და პარიზის მახლობლად მამული უბოძა. კიდევ ხუთი წლის შემდეგ ახალგამომცხვარი მარკიზა მეფის ქალიშვილის სამეფო კარის შტატში მიიღეს და მას, როგორც ფრეილინას, უკვე მეფის სასახლეში უკვე კანონიერ საფუძველზე ყოფნა შეეძლო. მარკიზა დე მონტესპანმა მეფეზე გავლენა დაკარგა და პირველ ადგილზე დედოფალი გადავიდა. დე მენტენონი, რომელიც პროტესტანტიზმის მკაცრ ზნეობრივ პრინციპებზე იყო აღზრდილი, მეფეს მუდმივად ახსენებდა, რომ ცოლს არასწორად ექცეოდა და ამან იმოქმედა. რაც უფრო ძლიერდებოდა ახალი ფავორიტის გავლენა მეფეზე, სამეფო კარი მეტ გაურკვევლობაში ვარდებოდა. მხიარული და გართობის მოყვარული მონარქი სრულიად შეიცვალა და ზნეობის დამცველი გახდა. ამ ცვლილებების გამო დე მენტენონი სამეფო კარზე შეიძულეს. დედოფლის გარდაცვალების შემდეგ მეფემ სააიდუმლოდ დაიწერა ჯვარი თავისი შვილების 48 წლის ძიძაზე და ის საფრანგეთის არაოფიციალური დედოფალი გახდა.

ბავშვობა და პირველი ქორწინება

ვიდრე სამეფო კარზე აღმოჩნდებოდა, დ'ობინიემ რთული ცხოვრება გაიარა. ფრანსუაზა ციხესიმაგრე ნიორის ციხეში დაიბადა, სადაც მისი მშობლები ჰუგენოტების ავჯანყების გამო ჩასვა კარდინალმა რიშელიემ. მერე ოჯახი კარიბის ზღვის კუნძულ მარტინიკაზე გადაასასხლეს. ათი წლის შემდეგ მამა გარდაიცვალა და დედა-შვილს საფრანგეთში დაბრუნების ნება მისცეს. დაცული რომ ყოფილიყო, გოგონა კათოლიკედ მონათლეს და ქალთა მონასტერში გაამწესეს აღსაზრდელად, რაშიც დედოფალი ანა ავსტრიელი დაეხმარა. იქ ფრანსუაზამ საეკლესიო სწავლების მთელი სიმკაცრე გამოიარა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მოგვიანებით, საერო სკოლა შეექმნა. 15 წლის ასაკში მას დედა გარდაეცვალა, ორი წლის შემდეგ კი მოხუც ლიტერატორ სკარონს გააყოლეს ცოლად, რომელიც პარალიზებული იყო. ის კეთილი ადამიანი იყო და ახალგაზრდა ცოლს ყველაფერში ხელს უწყობდა — განსაკუთრებით განათლების მიღებაში, გოგონას შეუზღუდავი თავისუფლება ჰქონდა. სტუმრად კი პოეტები, მწერლები, მუსიკოსები და მეცნიერები იკრიბებოდნენ. პოლ სკარონი მალე გარდაიცვალა და სწორედ ამ დროს შესთავაზეს ფრანსუაზას მეფის შვილების ძიძობა.

დედოფალი და მისი სკოლა

როდესაც არაოფიციალური დედოფალი გახდა, მარკიზა დე მენტენონმა არ იკმარა მეფის ქრისტიანული სათნოებით აღზრდა. მან გადაწყვიტა გამოეყენებინა თავისი გავლენა და აესრულებინა დიდი ხნის ოცნება — შეექმნა სკოლა გოგონებისთვის, რომელიც ეკლესიისგან დამოუკიდებელი იქნებოდა. ყველა საორგანიზაციო საკითხის მოგვარებას სამი წელი დასჭირდა და სენ-სირის გოგონების პანსიონმა, რომელიც ევროპაში პირველი იყო, 250 აღსაზრდელი მიიღო. სკოლაში მოხვედრა ძალიან რთული იყო, რადგან შერჩევაში თვით სასწავლო დაწესებულების პატრონი ლუდოვიკო XIV აწარმოებდა. პანსიონში გააღარიბებული თავადების შვილებს იღებდნენ. უპირატესობას ბრძოლის ველზე დაღუპული ჯარისკაცების შვილებს ანიჭებდნენ. სენ-სირის სკოლა ბევრ რამეში ნოვატორული იყო. ეს იყო ბავშვთა პირველი საერო სასწავლებელი, გოგონების პირველი სკოლა და პირველი ადგილი, სადაც სასკოლო ფორმის ტარება შემოიღეს.

სასწავლო პროგრამები იმ დროის სამონასტრო სკოლებისგან განსხვავდებოდა. რა თქმა უნდა, სენ-სირში ლათინური და საღვთო რჯული ისწავლებოდა, მაგრამ ძირითადი აქცენტი საერთო-საგანმანათლებლო საგნებს ეთმობოდა. უმცროსკლასელები წერას, კითხვას და თვლას სწავლობდნენ, უფროსები კი ფრანგულ ლიტერატურას, ისტორიას და გეოგრაფიას. დამატებით სიმღერას, სამეჯლისო ცეკვებს და ხატვას. გამოსაშვებ კლასში ქმართან მოქცევას, ბავშვების აღზრდას და საოჯახო მეურნეობის მართვას ასწავლიდნენ; ასევე ეკლესიის ისტორიას და ჰერალდიკას. აღსაზრდელები პრაქტიკასაც გადიოდნენ — სპეციალურ სახელოსნოებში კერავდნენ, საჭმელს სასადილოში ამზადებდნენ და ლაზარეთში დაჭრილებს უვლიდნენ. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა თვითონ უზრუნველყოფდა თავის თავს, რადგან უფროსკლასელები უმცროსებს აცმევდნენ, ხოლო სკოლის სახელოსნოებში შეკერილი ზედმეტი სამოსი და თეთრეული იყიდებოდა და კარგი შემოსავლის წყარო იყო. სკოლა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. სენ-სირის აღსაზრდელებს ნებას აძლევდნენ ეთამაშათ ჭადრაკი და შაში, წაეკითხათ საერო ლიტერატურა, ესეირნათ პანსიონის ბაღში და მონაწილეობა მიეღოთ სასკოლო სპექტაკლებში. სენ-სირის სკოლის პოპულარობას განაპირობებდა ისიც, რომ სკოლა სახელმწიფო დოტაციაზე იყო, კურსდამთავრებულებს კი სამეფო ხაზინიდან 3 ათას ლივრს აძლევდნენ. ყველაფრის მიუხედავად, სენ-სირი მაინც დახურული სკოლა იყო და მასწავლებლებს და აღმზრდელებს შეეძლოთ მოსწავლეების ნაცნობობისა და მათი ზნეობის კონტროლი. კათოლიკური ეკლესიის ზეწოლის გამო სკოლამ მხოლოდ 6 წელს იარსება.

წაგებული ბრძოლა

მიუხედავად იმისა, რომ სენ-სირის სკოლამ წარუმატებლობა განიცადა, მან ევროპაში განათლების განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა. ასეთივე სკოლები მალე ევროპის ბევრ ქვეყანაში გაჩნდა.

მარკიზა დე მენტენონი 1719 წელს გარდაიცვალა. გოგონების პირველი სკოლა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს დაიხურა — მოსწავლეები და მასწავლებლები ქუჩაში გაყარეს, შენობაში კი ჰოსპიტალი მოაწყეს.

მოგვიანებით იმპერატორმა ნაპოლეონმა, რომელსაც მსოფლიოს დაპყრობა ჰქონდა გადაწყვეტილი, გოგონების სკოლისგან სამხედრო აკადემია შექმნა, რომელიც დღემდე არსებობს. ამ აკადემიის კურსდამთავრებულები არიან საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი და ალექსანდრ პუშკინის მკვლელი ჟორჟ დანტესი.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი
ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯე“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74
გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562